2011 წელი, 7 - 13 აპრილი
ფასი 1 ლარი

ახალი განათლება

№14 (528) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

ხარება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა

ღვთისმშობელო ქალწულო,
გიხარიოდენ,
მიმადლებულო მარიამ,
უფალი შენთანა,
კურთხეულ ხარ შენ
დედათა შორის და კურთხეულ არს
ნაყოფი მუცლისა შენისა,
რამეთუ მაცხოვარი გვიშვენ
სულთა ჩვენთა.

ოპტიმიზმის საფუძველს დინამიკა უფრო მაძლევს, ვიდრე მიღწევები

სამეურვეო საბჭოებისა და სკოლის დირექტორების არჩევნები განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთი იმ სიახლეთაგანია, რომელსაც საზოგადოებისაგან არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. ეს ბუნებრივიცაა, თუნდაც იმიტომ, რომ დრომ კიდევ უფრო მძაფრად წარმოაჩინა ის ხარვეზები, რაც საარჩევნო პროცესს თან ახლდა.

არჩევნების დასრულების შემდეგ ჩვენი გაზეთის მკითხველს რამდენიმე ახლად არჩეული დირექტორიც გავაცანით, მათ შორის, აკადემიკოს ილია ვეკუას სახელოგის თბილისის №42 ფიზიკა-მათემატიკური საჯარო სკოლის დირექტორი **ალუდა გოგლიჩიძე**, რომელიც 2010 წლის საუკეთესო დირექტორად დასახელდა. იგი ჩვენი დღევანდელი ნომრის სტუმარია.

გვერდი 2

სტუმარი

ოპტიმიზმის საფუძველს დინამიკა უფრო მაძლევს, ვიდრე მიღწევები

პირველი გვერდიდან

– ბატონო ალუდა, თქვენი მიზანი იყო შეგექმნათ წარმატებული სკოლის მოდელი. წინ კიდევ სამი წელია, როგორ ფიქრობთ, შეძლებთ მიზნის მიღწევას?

– ცოტა ამბიციური განცხადებაა, მაგრამ სხვა შემთხვევაში დირექტორობის სურვილი არც გამიჩნდებოდა. წინასაარჩევნო პროგრამიდან არ გადამიხვევია, მნიშვნელოვნად არაფერი შემიცვლია და გარკვეულ შედეგებზე ნამდვილად შეიძლება საუბარი. ეს არის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი ხასიათის შედეგები. რაც მთავარია, სკოლა განვითარების იმ ეტაპზეა, როდესაც შედეგები უფრო და უფრო ხილული ხდება. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც გარე მომხმარებლისთვის შეიძლება იყოს საინტერესო, ისაა, რომ სკოლა 2009-10 სასწავლო წლების ოლიმპიადების გამარჯვებულია. ჩემთვის, როგორც დირექტორისთვის, მთავარი ფაქტორი ისაა, რომ მარტო ფიზიკასა და მათემატიკაში კი არა, ჩვენს მოსწავლეებს, ფაქტობრივად, ყველა საგანში მაღალი შედეგები აქვთ. ჩვენი სტრატეგიაა ვიმუშაოთ არა ვარსკვლავებზე (თუმცა, ესეც ძალიან მნიშვნელოვანია), არამედ წარმატებებისთვის კლასის და სკოლის დონეზე. ამიტომაცაა, რომ I ან II ადგილის მფლობელები უფრო ცოტა გვყავს, ვიდრე კონკურენტ სკოლებს, მაგრამ საერთო რაოდენობით, მოცულობით ჩვენი მაჩვენებლები გაცილებით მაღალია. ეს ასეც უნდა იყოს, მნიშვნელობა სწორედ ამას აქვს, ჩვენ ხომ ზოგადსაგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულება ვართ. საერთაშორისო ტურნირებში მიღწეული წარმატება და ის ფაქტი, რომ საქართველოს ნაკრები, ფაქტობრივად, ჩვენი სკოლის მოსწავლეებითაა დაკომპლექტებული, სწორედ სკოლის საერთო დონის მაჩვენებელია. ასევე ნამდვილად საამაყოა, რომ 42-ე სკოლის 50%-ზე მეტმა კურსდამთავრებულმა 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსება მიიღო.

ფართო აუდიტორიისთვის ნაკლებად აღქმადია სკოლაში განხორციელებული თვისობრივი ცვლილებები. პირველ რიგში, კლუბური მუშაობის დამკვიდრებას აღვნიშნავდი, რადგან ამ გზით მოვახერხეთ საპროექტო აზროვნების ჩამოყალიბებაში დავხმარებოდით ჩვენს მოსწავლეებს. ეს პროცესი ბუნებრივად და წარმატებით მიმდინარეობს, მოსწავლეები დამოუკიდებელნი არიან თავიანთ არჩევანში, ჩვენ მხოლოდ ფორმის განსაზღვრაში ვეხმარებით, შინაარსს თავად ირჩევენ. თემატიკაც მრავალფეროვანია: ლიტერატურა, საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკა, ეკოლოგია. ინტერესი არის, იმიტომ რომ პროექტზე მუშაობა თვითმიზანი არაა, ეს საშუალებაა, მოსწავლე მიეჩვიოს დამოუკიდებელ აზროვნებას და საქმიანობას. ეს ხომ ძიების ასაკია – დღეს ერთი მიმართულებით მოსინჯავს ძალებს, ხვალ-ზეგ კიდევ სხვა სფეროში. მას აუცილებლად უნდა მიეცეს საშუალება, იპოვოს მისთვის ყველაზე საინტერესო სფერო. სკოლა უნდა იყოს ის ადგილი, სადაც მოზარდი ემზადება ცხოვრებისთვის.

კიდევ ერთ თვისობრივ წარმატებად მიმაჩნია სკოლის ინიციატივა, პირდაპირი კავშირი დაამყაროს რეალურ დამკვეთთან – უმაღლეს სასწავლებლებთან. დიდი ხანი არაა, რაც ეს კამპანია დავიწყეთ და აქცენტს, ძირითადად, ჩვენი პროფილის უნივერსიტეტებზე ვაკეთებთ. ტრადიციულად, სკოლის ძირითად დამკვეთად მიჩნეულია მშობელი. გარკვეული თვალსაზრისით ეს ასეცაა და მეც ვეთანხმები, მაგრამ მიმაჩნია, რომ სკოლის განვითარება არ შეიძლება აეწყოს მხოლოდ მშობლის კერძო ინტერესებზე. ჩვენ აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, რა მოთხოვნა აქვს უმაღლესი განათლების სისტემას, რომელიც თავისთავად მიბმულია შრომის ბაზარზე. ეს არ არის მექანიკური შეხვედრები. უმაღლესმა სასწავლებლებმა არ იციან როგორი სასწავლო გეგმები გვაქვს, ჩვენთვის უცნობია რა ცოდნას, რა უნარ-ჩვევებს ითხოვენ ისინი მომავალი სტუდენტისგან, ბევრი რამ მათთვისაც აღმოჩენაა. ჩვენ, მაგალითად, სიამოვნებით ვითანამშრომლებდით მათთან სასწავლო გეგმის ფორმირების პროცესში, პროფესიული განვითარების კუთხით, მოსწავლეთა შეფასების სისტემაშიც კი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების კუთხით გასაგები მიზეზების გამო, მათ ამ მხრივ გაცილებით უკეთესი ბაზა აქვთ, ვიდრე სკოლებს. თანამშრომლობის შემთხვევაში, ამ რესურსით სარგებლობის საშუალება გვექნებოდა. ეს კი ჩვენი ერთ-ერთი მიზნის მოსწავლეთა სამეცნიერო კარიერით დაინტერესების პროვოცირებაში წაგვადგება. პროფილური, სპეციალიზებული სკოლის დანიშნულება ხომ ესეცაა. ასეთი შეხვედრა უკვე შედგა თავისუფალ უნივერსიტეტში. შეხვედრები გვექნება თსუ-ში, შავი ზღვის უნივერსიტეტში, საქართველოს უნივერსიტეტში და ა.შ. დარწმუნებული ვარ, ამ გზის არჩევით მშობელსაც ვეხმარებით და მოსწავლესაც, რადგან თუ ბავშვი სწავლობს ისეთ სკოლაში, რომლის სასკოლო სასწავლო გეგმა, სწავლების ტექნოლოგია მიახლებულია იმასთან, რასაც დღევანდელი დამკვეთი უკვეთავს, ბუნებრივია, მას წარმატების რეალური შანსი აქვს.

– თქვენ იმედოვნებით, რომ წარმატებული სკოლის მოდელის შექმნაში დაგეხმარებოდათ მენეჯმენტის კუთხით მიღებული განათლება.

– დიახ, ამის დიდი იმედი მქონდა და დამეხმარა კიდეც. საქმე ისაა, რომ დღევანდელი სკოლების პედაგოგიური კოლექტივები მეტ-ნაკლებად ერთი სტილისანი არიან. ვგულისხმობ იმას, რომ ერთი ტიპის განათლება აქვთ მიღებული, ერთი სისტემიდან მოდიან. ამ მხრივ, სკოლებს შორის ძირეული განსხვავება, ფაქტობრივად, არ არსებობს. განსხვავება შეიძლება იყოს მართვის სისტემებს შორის. სამწუხაროდ, ჩვენს სკოლებში ეს სისტემა არ მუშაობს. ეს არის პროცესი, რომელიც აიძულებს ყველას (ამ სიტყვის კარგი გაგებით) შემოთავაზებულ სტანდარტს აუწყოს ფეხი. მშობელი იმაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, რამდენად გაუმართლებს მის შვილს და კარგი მასწავლებელი შეხვდება, ამას სისტემა უნდა აწესრიგებდეს. ჩვენ, ფაქტობრივად, ყველა ახალი თანამშრომელი, პედაგოგი თუ არა პედაგოგი, კონკურსის წესით ავიყვანეთ. არ მეგულება სკოლა, სადაც რამდენიმე გამორჩეულად კარგი პედაგოგი მაინც არ მუშაობს, მაგრამ რამდენად ქმნიან ისინი საერთო კლიმატს, ესაა საქმე. ამ მხრივ, ვფიქრობ საინტერესო იქნება ახლად წარმოწყებული ხარისხის მართვის თვისობრივი მაგალითი – საკლასო ოთახის ან სკოლის დონეზე რომ ავიღოთ, რამდენად ემყარება ფორმალურ ჩარჩოებს მოსწავლესა და სკოლას შორის ურთიერთობები, ანუ რამდენად გამომდინარეობს მოსწავლის ქმედებები სკოლის შინაგანაწესიდან და თუ ადგილი აქვს გადაცდომებს, შინაგანაწესიდან გამომდინარე თუ ხდება მათზე რეაგირება. შემიძლია ვთქვა, რომ ამ მხრივ მართლა თვისობრივი ცვლილება გვაქვს. თანამშრომლებს ბოლომდე აქვთ გაცნობიერებული, რომ ფორმალური ურთიერთობები, ანუ დაწერილი წესებიდან გამომდინარე რეაგირება, გაცილებით ეფექტურია. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობის ბრძანება იწერება დისციპლინარულ გადაცდომებზე, მაგრამ თუ პრაგმატული თვალით შევხედავთ, ეს არის ინდიკატორი იმისა, რომ აქ დაუწერელი კი არა, დაწერილი კანონით მოქმედებენ. სტატისტიკა მეტყველებს, რომ ხელს არ ვაფარებთ არანაირ გადაცდომას, დაგვიანებიდან დაწყებული ჟურნალის დაკარგვით დამთავრებული, მაგრამ ეს ხდება კანონის ფარგლებში. მოსწავლე უნდა მიეჩვიოს, რომ მას აქვს სკოლის შინაგანაწესის დაცვის პასუხისმგებლობა და ვალდებულება, გაიგოს, რომ თავისუფლება და დემოკრატია სულაც არ გულისხმობს, რაც გინდა ის აკეთო, ოღონდ თავი იგრძნო კომფორტულად, დაიმახსოვროს, რომ ნებისმიერი ადამიანის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება კანონის დარღვევა. ვფიქრობ, ჩვენმა მოსწავლეებმა იციან, რომ უკანონოდ, შინაგანაწესის მოთხოვნის გარეთ მათ არავინ დასჯის, მაგრამ არც თავნებობას წაახალისებენ.

– რა აჩვენა განვლილმა პერიოდმა, რამდენად სრულყოფილია საკანონმდებლო ბაზა სკოლების დეცენტრალიზაციის და დემოკრატიზაციის კუთხით და შეცვალეს თუ არა რაიმე ამ მიმართულებით არჩეულმა დირექტორებმა?

– 2004 წელს, როცა მივიღეთ „კანონი ზოგადი განათლების შესახებ“, სკოლა მაშინაც იყო დეცენტრალიზებული და დემოკრატიული, თუმცა არა სისტემის დონეზე. გახსოვთ, ალბათ, დიდი აჟიოტაჟი ატყდა სამეურვეო საბჭოების ირგვლივ, სრულიად გადაჭარბებული და არაელევანტური მოლოდინები შეიქმნა. მაშინაც ამ აზრის ვიყავი და ახლაც ასე ვფიქრობ – სამეურვეო საბჭოს მიერ დირექტორის არჩევა ძალიან დიდი შეცდომაა. არაფერი სიკეთე ამას სკოლისთვის არ მოუტანია. მე ნორმად მიმაჩნია, რომ დირექტორი დაინიშნოს. ეს წმინდა პროფესიონალური საკითხია და არ შეიძლება მისი გემოვნების დონეზე გადაწყვეტა. არავითარი კომპეტენცია ამ საკითხში მშობელს და პედაგოგს არ აქვთ. ჩვენ მივიღეთ სურათი, როცა დამსაქმებელს ირჩევს დასაქმებული, მივიღეთ დემოკრატია (უფრო სწორად დემოკრატიის თამაში), მაგრამ გაუკუღმართებული ადმინისტრირება. დირექტორი აუცილებლად უნდა იყოს პროფესიონალი და თუ ეს ასე არის, ვინც აირჩია, მისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. რომელი სამეურვეო საბჭოს პასუხისმგებლობის საკითხი დადგა ან დადგება?! სკოლა პოლიტიკური ორგანიზაცია ხომ არაა, სადაც დემოკრატია უნდა ვითამაშოთ. სკოლა კონკრეტული მიზნებისთვის დაარსებული საჯარო დაწესებულებაა, რომელმაც ხარისხიანი განათლება უნდა მიაწოდოს მოსწავლეს. ეს ბაზას ამ სკოლაში, შეუძლებელია, პროდუქტიული იყოს.

– წინასაარჩევნო პროგრამაში თქვენ აღნიშნავდით, რომ სამოქალაქო განათლება ნებისმიერი სკოლის სააღმზრდელო მიმართულების მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს. რა შედეგი გაქვთ ამ მიმართულებით?

– ზემოთ ჩვენ კლუბების შესახებ ვისაუბრეთ. სამოქალაქო განათლების კუთხით ეს ერთ-ერთი ინდიკატორია და ამიტომაც ვუდგებით ამ საკითხს სერიოზულად. ეს საკითხი შეიძლება 2 ნაწილად გავყოთ. ერთია – როგორ ვასწავლით, ვინ ასწავლის, როგორ ვაფასებთ, რამდენად წარმატებულია პროცესი და მეორე – ვიძლევით თუ არა სამოქალაქო ცნობიერების მაგალითებს. ყველაზე მარტივი მაგალითი – ნატოს კუთხის გახსნა. ეს ერთ-ერთი ინდიკატორია, ეს ერთ-ერთი ინდიკატორია, ეს ერთ-ერთი ინდიკატორია.

მართვა იძულებასთან დაკავშირებული პროცესია, დემოკრატია კი – ძალიან მკაცრი წესრიგი.

სკოლებში სამეურვეო საბჭოების მიერ დირექტორების არჩევის ეპოქა უნდა დამთავრდეს.

ნატოს კუთხის გახსნა

დასუფთავების აქცია ლაგოდეხში

სტუმარი

პროცესი წინააღმდეგობრივი ხასიათისაა და არც ბევრი რამ კეთდება ნებელობით. არც ერთ ქვეყანაში არ ირჩევენ დირექტორს, დირექტორი ყველა ქვეყანაში მხოლოდ ინიშნება. იგი არის ადმინისტრატორი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს მიერ შემუშავებული გეგმების, სტრატეგიების, სტანდარტების განხორციელება. ეს საკმაოდ სერიოზული, შრომატევადი საქმეა და პროფესიულ ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად ადმინისტრატორისთვის აუცილებელ, განსაკუთრებულ უნარ-ჩვევებსაც მოითხოვს. მართვა იძულებასთან დაკავშირებული პროცესია, დემოკრატია კი – ძალიან მკაცრი წესრიგი. არც ერთი მათგანი, რამდენიმე წელია, ჩვენს სკოლებში არ არის. ხომ ყველამ იცის, რომ სკოლაში სიარული სულაც არ იყო აუცილებელი და მიუხედავად ამისა იწერებოდა ნიშნები, მეთორმეტეკლასელები, ძირითადად, რეპეტიტორებთან ემზადებოდნენ, სკოლა კი მათ საგზურს აძლევდა უმაღლეს სასწავლებელში. იმატა ძალადობამ, რომელზედაც არ იყო არავითარი რეაგირება, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე გახმაურებულ შემთხვევას. მთავარი იყო, სკოლას არ დაეკარგა ვაუჩერი და თვალს ხუჭავდა მოსწავლის ნებისმიერ გადაცდომაზე. ამგვარ „დემოკრატიას“ და „თავისუფლებას“ შეეწირა სკოლა და ეს დიდწილად არასწორი პოლიტიკის შედეგია. ღრმად მწამს, რომ დირექტორი უნდა დანიშნოს სკოლის დამფუძნებელმა, დანარჩენი დემაგოგიაა. ალბათ გახსოვთ, რამდენი ღირსეული დირექტორობის კანდიდატი დარჩა გვერდზე, იმიტომ რომ არჩევანი გემოვნების საკითხი იყო, ამიტომაც ვამბობ, რომ სკოლებში სამეურვეო საბჭოების მიერ დირექტორების არჩევის ეპოქა უნდა დამთავრდეს. მსოფლიო გამოცდილების მიხედვით, დეცენტრალიზაცია ახალი თემა არ არის, ბევრმა ქვეყანამ გაიარა ეს გზა, დასკვნა კი ასეთია – დეცენტრალიზაციით ვიღებთ მაღალი ხარისხის დემოკრატიას, მაგრამ დაბალი ხარისხის ადმინისტრირებას. ღრმად ცენტრალიზებულ საზოგადოებაში ავტონომიურობა მნიშვნელოვანია, მაგრამ ამის გამო არ უნდა მოკლა ადმინისტრირების პროცესი. ამაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს დირექტორი, ჰქონდეს შესაბამისი უფლება-მოვალეობები და რომ არ გადააჭარბოს ძალაუფლებას, აკონტროლოს სამეურვეო საბჭომ, რომელიც დაკომპლექტდება მშობლებით, საზოგადოების წარმომადგენლებით, კურსდამთავრებულებით, მაგრამ არამც და არამც პედაგოგებით. თუ მაინცდამაინც კომპრომისზე წავალთ, შეიძლება წარმომადგენლობითი სახით შევიდეს საბჭოში პედსაბჭოს თავმჯდომარე, რატომ არ იქნება საკმარისი, ის ხომ პედაგოგების ნდობით აღჭურვილი პირია!

ასევე სერიოზულად გადასახედია პედსაბჭოს მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების საკითხი. ეს ის ნაკლია, რომელიც აფუჭებს სკოლის მართვის სისტემას; დღევანდელი რეგულაციით ასევე ბუნდოვანია, ვინ ნიშნავს კლასის დამრიგებელს. დემოკრატია ძალაუფლების განაწილებაზე მეტად დახვეწილ პროცედურებს გულისხმობს. ამ მხრივაც ბევრი ხარვეზია კანონმდებლობაში, მაგალითად: თუ სამეურვეო საბჭო არ ეთანხმება სასკოლო სასწავლო გეგმას ან დირექტორის გადაწყვეტილებას, ამ შემთხვევაში რა პროცედურებია, ვინ იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას? რატომ არ ევალება პედაგოგს სილაბუსის შედგენა, როცა იგი ამბობს, ამ კონკრეტულ შედეგს ან მიზანს ამ გზით ან მეთოდით მივაღწევო, ეს რომ წერილობით ჩამოაყალიბოს, მისი უფლების შელახვა რატომაა?

დეცენტრალიზაციით ვიღებთ მაღალი ხარისხის დემოკრატიას, მაგრამ დაბალი ხარისხის ადმინისტრირებას.

რამდენიმე სხვა საკითხიცაა კანონმდებლობაში, რომლის შეცვლის აუცილებლობა დრომ და პრაქტიკამ მოიტანა, ზოგიც შეიძლება იმთავითვე მიუღებელი იყო. მე მზად მაქვს პოლიტიკის დოკუმენტი ზოგადი განათლების მართვის საკითხებზე; ეს არის იმ პრობლემების ჩამონათვალი, რომელიც ხელს უშლის სკოლის სრულფასოვან ფუნქციონირებას. ბევრი ჩემი კოლეგა იზიარებს მასში გამოთქმულ შეხედულებებს. ჩვენ შევეცდებით, დავარწმუნოთ სამინისტროცა და პარლამენტიც საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობაში.

– ბატონო ალუდა, წლების განმავლობაში ძალიან მწვავედ იდგა „უსაფრთხო სკოლის“ პრობლემა. მიუხედავად ამისა მანდატურის ინსტიტუტის შემოღებას ბევრი მითქმა-მოთქმა, არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა – უზრუნველყოფს მანდატური სკოლის უსაფრთხოებას?

ჩემი აზრით, მანდატურის სამსახური არის მყისიერი რეაგირება იმ პრობლემებზე, რაც სკოლაში ე.წ. დემოკრატიის სახელით დაგროვდა და შექმნილ ვითარებაზე რეაგირების თუ ზემოქმედების უნარი, სხვადასხვა ფაქტორების გამო, სკოლამ დაკარგა. ყველას გვახსოვს ბოლო წლების სკოლა, ეს იყო სრული ქაოსი, ალბათ ყველგან არა, მაგრამ სკოლების დიდ უმრავლესობაში სრული განუკითხაობა იყო, ჩხუბს, იარაღის ტარებას, დაჭრებსა და სიკვდილის შემთხვევებს წინ უძღოდა დისციპლინის მოშლა არა მხოლოდ მოსწავლეების, პედაგოგებისა და დირექციის მხრიდან, მასწავლებლის 5-10 წუთის დაგვიანებით გაკვეთილზე შესვლაც ნორმად იქცა; მოსწავლეებს, რომლებიც მხოლოდ ათასში ერთხელ თუ გამოივლიდნენ სკოლაში, ყველა საგანში სასურველი შეფასება ჰქონდათ. როგორ ახერხებდნენ ამას და სად იყო ამ დროს ან დირექცია, ან სამეურვეო საბჭო გაუგებარია. ამ და ბევრი სხვა გადაცდენის ფორმალური დაფიქსირების ტრადიცია რომ არ იყო, ამიტომ არც გვაქვს არავითარი სტატისტიკა იმ წლების სკოლაში მიმდინარე პროცესებზე. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელიც იყო ჩარევა, მიმაჩნია, რომ ეს ადრეც უნდა მომხდარიყო. თუმცა, ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ მანდატურს აქვს მკაცრად გაწერილი უფლება-მოვალეობანი და მან ამ ჩარჩოში უნდა იმოქმედოს, კერძოდ, თვალი მიადევნოს რამდენად ასრულებს სკოლა შინაგანაწესს დისციპლინის კუთხით, აკადემიური მხარე მას არ ეხება, დაეხმაროს დირექციას, რომ სკოლა, როგორც საჯარო დაწესებულება, სრულფასოვნად ფუნქციონირებდეს.

ზემოთ ვსაუბრობდით, რომ მოსწავლეებს სამოქალაქო ცნობიერების მაგალითი უნდა მივცეთ. ეს სამსახურიც უნდა დაგვეხმაროს ამ კუთხით, ანუ ყოველ საჭირო შემთხვევაში ნახოს მოზარდმა, როგორ სრულდება ის, რაც დაწერილია. სხვა სამყაროშიც არის წესები, მაგრამ ის დაუწერელი წესებია. განსხვავება ესაა. შეიძლება ძალიან სწორად და ოპერატიულად ჩაერიოს დირექცია ან პედაგოგი რაიმე კონფლიქტის მოგვარებაში, მაგრამ როდესაც ამის დაფიქსირება არ ხდება, მერე ძალიან ძნელია გაავლო ზღვარი, სად ჩაერია სუბიექტური გემოვნებით და სად – ობიექტური საჭიროებით. თუ ჩვენთვის მთავარია, რომ მოზარდი თეორიებით კი არა, მაგალითებით აღიზარდოს, ცხადია, სკოლა ვალდებულია, მეორე გზა აირჩიოს. როცა ვაფიქსირებთ თუნდაც უმნიშვნელო გადაცდენას, ამით ვეხმარებით მოსწავლეს საკუთარ თავზე იმუშაოს.

ფაქტია, რომ ამ მხრივ ვითარება უკეთესობისკენ შეიცვალა. ბევრი რამ თავად სკოლებზეცაა დამოკიდებული, ჩვენთან მანდატურებს არავითარი პრობლემა არ შეუქმნიათ, შეიძლება იმიტომაც, რომ კოლექტივისთვის ეს სიახლე არ იყო, ჩვენ მანამდეც გვყავდა ამ ფუნქციის შესასრულებლად ადამიანი, მას, უბრალოდ, მანდატური არ ერქვა.

– დირექტორად არჩევიდან სულ რამდენიმე თვეში თქვენ ვარაუდობდით, რომ წარმოდგენილი პროგრამის განსახორციელებლად 6 წელი არც დაგჭირდებოდათ, ამას მანამდეც მოახერხებდით, ახლა როგორ ფიქრობთ?

– ვფიქრობ, რომ არ ვცდებოდი. ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით, პირველი ეტაპი უფრო რთული იყო. ახლა ბევრი ბარიერი მოხსნილია, რაც ტემპის აჩქარების საშუალებას მომცემს. ჩვენ ბევრ საკითხზე ვისაუბრეთ, მაგრამ არა ყველაფერზე. მაგალითად, მიდგომების მხრივ, საინფორმაციო-საკომუნიკაციო სტრატეგიის ფარგლებში სერიოზულ შედეგად მიმაჩნია, რომ ყველა საქმიან კომუნიკაციას თანამშრომლებთან ელექტრონული ფოსტით ვახორციელებ. ვინმესთვის შეიძლება ეს უმნიშვნელო რამ იყოს, მაგრამ დამერწმუნეთ, ინფორმაციის ოპერატიულად გავრცელებას შედეგისთვის სერიოზული მნიშვნელობა აქვს. საბოლოოდ იმის თქმა მინდა, რომ ოპტიმიზმის საფუძველს დინამიკა უფრო მაძლევს, ვიდრე მიღწევები. რაიმე სიახლის დამკვიდრებისას არასოდეს არ ვჩქარობ და ყოველთვის მზად ვარ განხილვისათვის. გასაგები ფაქტორების გამო, ჩვენ ისეთ ვითარებაში ვართ, როცა დირექტორი პოლიტიკოსი უფროა, ვიდრე ადმინისტრატორი და „პოლიტიკოსობას“ მეტი დრო მიაქვს, ვიდრე ადმინისტრირების საკითხებს. ვფიქრობ, დარჩენილი დრო საკმარისი იქნება ჩემი პროგრამის შესასრულებლად და არა მგონია, თუ ჩემს რესურსს ამოვწურავ, კიდევ საინტერესო ვიყო ამ აუდიტორიისთვის.

ესაუბრა
ანა ფირცხალაიშვილი

პირველი ეტაპი დასრულდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ **კოკა სეფერთელაძემ** და სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა **გია მამულაშვილმა** საჯარო სკოლების დირექტორთა შესარჩევი კონკურსის პირველი ეტაპის დასრულებასთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართეს.

კონკურსის პირველი ეტაპი კომპიუტერული პროგრამის საშუალებით საქართველოში პირველად ჩატარდა. თითოეულმა მონაწილემ ინდივიდუალური ტესტი შეავსო. დირექტორობის მსურველებმა კითხვებს რამდენიმე მიმართულებით უპასუხეს: საკანონმდებლო ბაზა, სასწავლო პროცესის ორგანიზება და შეფასება სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლის ფინანსური მართვა, ლოგიკური მსჯელობა და ადამიანური რესურსების მენეჯმენტი.

შესაბამისი მასალა დაინტერესებული პირებისათვის სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე იყო ხელმისაწვდომი. ტესტი სულ 100 კითხვისაგან შედგებოდა. კონკურსში მონაწილეობას, დირექტორების მოვალეობის შემსრულებელთა გარდა, ის მოქალაქეებიც იღებენ, რომლებსაც აქამდე სკოლის დირექტორად არ უმუშავიათ.

საჯარო სკოლების დირექტორების შესარჩევი კონკურსისთვის რეგისტრაცია 25 თებერვალს დაიწყო და 20 მარტამდე გაგრძელდა. ტესტირებაში მონაწილეობა თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრებმა პირებმა მიიღეს.

საჯარო სკოლების დირექტორთა შესარჩევი კონკურსი ორეტაპიანია. კომპიუტერიზებული ტესტირების შედეგები 15 აპრილს გამოცხადდება, რის შემდეგაც მეორე ეტაპზე გასული კონკურსანტები გასაუბრებას გაივლიან.

გამოცდების ეროვნული ცენტრი

გამოცდების ეროვნული ცენტრი საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევის (PISA) პილოტირებას ჩაატარებს

პილოტირება 5-8 აპრილს ჩატარდება და მასში, საქართველოს მასშტაბით, 50 სკოლა და 15 წლის ასაკის 1500 მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას.

მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო კვლევის (PISA) მიზანია, შეაფასოს ამ ასაკის მოსწავლეების სკოლაში შეძენილი ცოდნა და უნარები.

PISA მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 2000 წლიდან ტარდება და ამოწმებს ცოდნას სამი მიმართულებით: კითხვა, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. კვლევა ხორციელდება სამ წელიწადში ერთხელ და ყოველი მომდევნო ფაზისათვის სამი სფეროდან ერთ-ერთია პრიორიტეტული. მაგალითად, 2009-2010 წლის კვლევაში მთავარი კითხვის უნარების შემოწმება იყო, 2012 წელს მათემატიკაზე იქნება ძირითადი აქცენტი გაკეთებული, 2015-ში კი – საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზე. გარდა ტესტებისა, PISA-ს ფარგლებში მოსწავლეები და სკოლის დირექტორები ავსებენ კითხვარებს, რომელთა მიზანია აჩვენოს, რა ფაქტორები ახდენს გავლენას მოსწავლეთა მიღწევებზე.

გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის **ია კუტალაძის** განცხადებით, PISA საშუალებას იძლევა, განხორციელდეს დროის გარკვეულ მონაკვეთში საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე ცვლილებების მონიტორინგი და შეფასება.

„PISA გვეხმარება სასწავლო პროცესში დაშვებული ხარვეზები გამოვავლინოთ. გარდა ამისა, აღნიშნული კვლევა კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა საერთაშორისო სტანდარტებს შევადაროთ და პროგრამაში მონაწილე სხვა ქვეყნების მიღწევები გავითვალისწინოთ. PISA გახლავთ დიაგნოსტიკური ტიპის კვლევა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა არის დასახვეწი სასკოლო განათლებაში იმისათვის, რომ მოსწავლეთა მიღწევები გავაუმჯობესოთ. კვლევის საფუძველზე მზადდება რეკომენდაციები, რომლებიც სასწავლო პროცესის გაჯანსაღებისთვის შეიძლება გამოვიყენოთ,“ – განაცხადა **ია კუტალაძემ**.

მისივე თქმით, საქართველო, მსოფლიოში საგანმანათლებლო სფეროში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ კვლევაში 2009 წლიდან ჩაერთო. დღეისათვის კვლევის ამ ფაზაში მონაწილეობს დაახლოებით 80 ქვეყანა. ძირითადი კვლევა, ქვეყნის მასშტაბით, 2012 წელს, მათემატიკაში ჩატარდება და მასში მთელი ქვეყნიდან შემთხვევით შერჩეული 15 წლის მოსწავლეები მიიღებენ მონაწილეობას.

სწავლება თავშექცევით



რამდენიმე წელია წიგნის მაღაზიის თაროებზე მყარად დაიმკვიდრეს ადგილი **ვიოლეტა კვირიკაშვილის** სახალისო შეკითხვების კრებულებმა: **„სკუპ-სკუპით სკოლისაკენ“, „პატარა ინტელექტუალი 1, 2, 3“, „ინტელექტუალი I, II“**. წიგნებით მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, იმოგზაურონ ცოდნის სამყაროში, გაიფართოონ თვალსაწიერი და დაუსრულებლად ეძიონ პასუხი ახალსა და შეუცნობელზე. კრებულები დიდ ინტერესს აღძრავენ მეცნიერების თითქმის ყველა დარგში (მშობლიური ენა და ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, რელიგია...) თითოეული სფერო 100 კითხვისგან შედგება და განსაკუთრებული სიმბოლოთია აღნიშნული. პასუხები შესაბამისი სიმბოლიკით შეკითხვების უკანა მხარესაა მოცემული.

როდესაც ბავშვი 10 გვერდს გაივლის, ანუ 100 შეკითხვას გასცემს პასუხს, უკანა გვერდზე თვითონვე ამოწმებს საკუთარი პასუხის სისწორეს და ინყებს მიღებული ქულების დათვლას. შემდგენელი ითვალისწინებს მოზარდების განსხვავებული ცოდნის დონეს და გონებრივ შესაძლებლობებს. გულნაკლულს არავის ტოვებს: 100 შეკითხვის შემდეგ ყოველ მათგანს ელოდება მიღებული ქულების შესაბამისი წამახალისებელი ჯილდო.

გაცემულ პასუხებში ვლინდება და ყალიბდება ბავშვის ალღო, ცოდნის დონე, მიხვედრის და დამოუკიდებელი, ლოგიკური აზროვნების უნარი, მისი კრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ. ის ხომ თვითონ აფასებს საკუთარი პასუხების სისწორეს და თვითონვე წყვეტს, თუ რა ჯილდო დაიმსახურა. ეს ხერხი მეტად საინტერესოს ხდის ბავშვის შემოქმედებით საქმიანობას, უნერგავს გამარჯვების სიხარულს, ასწავლის მიზნისკენ სწრაფვას, აჩვევს გამძლეობას, ასწავლის ძიების გზებს.

„სახალისო შეკითხვები“ ძუნწი დახასიათებაა წიგნის შინაარსისა და ღირებულებებისა. ეს არის დიდი ცოდნისა და ზღვა ინფორმაციის მიმცემი, მრავალი კარგი თვისების ჩამნერგავი თამაში.

შეკითხვები ოსტატობით, ნათლად და მარტივად არის დასმული. აქ არ არის ერთფეროვნება: ყველა შეკითხვა არ საჭიროებს პირდაპირ პასუხს, მათი ნაწილი მოზარდისგან დაკვირვების უნარს, ლოგიკურ აზროვნებას და მიხვედრილობას მოითხოვს. ბევრია იუმორი.

განუზომელი შრომაა გაწეული. რა შინაარსის შეკითხვა გინდათ, რომ არ იყოს აქ! კრებულს თამამად შეიძლება ეწოდოს ახლებური მეთოდიკით შედგენილი საბავშვო ენციკლოპედია გეოგრაფიაში, ისტორიაში, ბიოლოგიასა თუ ხელოვნებაში.

ეს არის მიგნება, თუ როგორ მოვახდინოთ ბავშვის ყურადღების მობილიზება ამა თუ იმ მიმართულებით. ეს არის დამოუკიდებელად და საღად მოაზროვნე ადამიანის ჩამოყალიბების ერთ-ერთი საუკეთესო გზა.

კომპლექტი შედგება 6 წიგნისგან. თითოეული მათგანი დამუშავებულია შესაბამისი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, კლასების შესაბამისად.

წიგნები გამოიცემა 2005 წლიდან, როგორც დამხმარე სასწავლო მასალა და თანაბარი წარმატებით გამოიყენება საბავშვო ბაღებში, სკოლებსა და ოჯახებში ინდივიდუალური ან ჯგუფური მეცადინეობისათვის. პედაგოგები მათ თანაბარი წარმატებით იყენებენ სოციალურად დაუცველ, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებთან და მცირეწლოვან დამნაშავეებთან მუშაობისას სასჯელაღსრულების დაწესებულებებშიც. წიგნები პოპულარობით სარგებლობენ აგრეთვე საზღვარგარეთ მცხოვრებ პატარა ქართველებში (საინგილო, ფერეიდანი, საბერძნეთი, ნიუ იორკისა და ვაშინგტონის საკვირაო სკოლები...), კრებულები მოწონებულია საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის მიერ. ავტორს წიგნებისათვის მინიჭებული აქვს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია.

თითოეული მათგანის ღირებულებაა 5 ლარი. შეძენა შეიძლება როგორც კომპლექტის, ისე ცალკეული წიგნის სახით.

კითხვები „პატარა ინტელექტუალ 1“-დან

1. როგორი თანმიმდევრობით იზრდება დედალი?
1. კვერცხი, წიწილა, ვარია. 2. კვერცხი, წიწილა, ყვინჩილა.

2. ვინ არიან „მწვანეები“?
ბუნების დამცველები, მწვანე ტანსაცმელში გამოწყობილი ჯარისკაცები, შიშით გამწვანებული ადამიანები

3. როგორი ფერხული არ არსებობს?
წრიული, ნახევარწრიული, ორსართულიანი, კვადრატული

4. რაზე ხატავენ ფრესკას?
კედელზე, ტილოზე, მუყაოზე

5. ყველა დედა მშობელია. არის თუ არა ყველა მშობელი დედა?

6. რომელია უხორცო საჭმელი?
ყაურმა, ყიყლიყო, ჩაქაფული

7. რომელია ზედმეტი?
დუეტი, ტრიო, კვარტეტი, შაში დუ

8. საქართველოს რომელი ქალაქი არ არის უძველესი?
მცხეთა, თბილისი, რუსთავი, ქუთაისი

9. რომელია კუთხური მეტყველების ნიმუში?
ჟვლიპა, გაარტყა, მოაკერა

10. რომელია ზედმეტი?
ვაი, ოჰ, უჰ, ერიჰა

11. რისი სახელებია: ნუსხური, ასომთავრული, მრგვლოვანი?

12. რომელი გამონათქვამი ნიშნავს „მფარველობა გაუწია“?
კალთა დააგლიჯა, კალთა გადააფარა, კალთა დააბერტყა

13. რომელ სიტყვაშია დაშვებული შეცდომა?
მთაში კარგ ვაშკაცს „კაი ყმას“ უწოდებენ

14. დაფას ჩამოაჭრეს 3 კუთხე. რამდენი კუთხე აქვს ახლა მას?

15. პირველიდან მე-13 სართულზე მიმავალი ლიფტი შუა გზაში გაფუჭდა. რომელ სართულზე აღრიალდებოდა ლიფტში გაჭედილი ვახო?

16. რომელი ქართული ტაძარია აგებული სასწაულმოქმედი ხის ადგილზე?
სამების, გელათის, სვეტიცხოვლის, ალავერდის

17. რამდენი სიკვდილმისჯილი აცვეს ჯვარს მაცხოვართან ერთად?

18. არის თუ არა განსხვავება ხატსა და სურათს შორის?

19. რომელი ბოსტნეული შეიძლება „გაიპაროს“?
ხახვი, ნიორი, კომბოსტო, სტაფილო

20. შეიძლება თუ არა, ყველა პატარამ ერთ დღეს მიულოცოს დედას დაბადების დღე?

21. მცენარის სიცოცხლისათვის აუცილებელი რომელი ელემენტი აკლია ჩამონათვალს?
მზე, წყალი, ჰაერი....

22. რა იწყება ასე: „იწილო, ბიწილო....“?
ენის გასატეხი, ზღაპარი, გამოცანა, გასათვლელი

23. რას არ იტყვის ჭამის შემდეგ კარგად აღზრდილი ადამიანი?
გავძეხი, გმადლობთ, დავნაყრდი

24. რისი ჭურჭელი ტყდება ადვილად?
პლასტმასის, ხის, მინის, ლითონის

25. რამდენი ტუჩი აქვს ორ მაკრატელს?

26. გაასწორე შეცდომა:
„შხაპუნა წვიმა მოვიდა, დიდი მინდორი დანამა“.

კითხვები „სკუპ-სკუპიდან“

1. რით იწყება „დედაენის“ პირველი გვერდი?
„აი ია“, „იყო და არა იყო რა“, „უფალო შეგვიწყალე!“

2. რომელი შინაური ცხოველია „წვერცანცარა, ფეხბაკუნა, კუნტრუშა და ეშმაკუნა“?
ციკანი, ჩოჩორი, ბოჩოლა, კვიცი

3. მეორე სართულზე ასვლისას აღმავალი საფეხური მეტი შეგხვდება თუ დაღმავალი?

4. რა აქვთ საერთო ფრინველებსა და ცხოველებს?
თავი, ნისკარტი, ფრთები

5. რისი გვირგვინი დაადგეს თავზე უფალ იესოს ჯვარცმის წინ?
დაფნის, ეკლის, ყვავილების

6. რა არ შეიძლება იყოს წვრილი?
მარცვალი, ძეწკვი, თითი, ჯოხი, წიგნი

7. გადმოეცი ერთი სიტყვით:
ცრემლებს ღვრიდა

8. რატომ შერჩა ხელში მაიკოს მაცივარში შედებული ნაყინის ნაცვლად რძე?

9. ითვლება თუ არა ტყუილი ცოდვად?

10. რომელი სარწმუნოების მიმდევარი ატარებს ჯვარს?
ებრაელი, ქრისტიანი, მაჰმადიანი

11. რამდენი ბოლო აქვს ნახევარ ფანქარს?

12. რამდენი ტყუილია?
„დავიხურე პალტო და ჩავიცვი ქუდი,
ვაქიცინე თვალი, ვახამხამე კუდი“

13. ვისი დაა შენთვის შენი მამიდა?
დედის, მამის, ბიძის, ბიცოლის

14. ერთი ძროხაა. ბევრი რა იქნება?
ჯოგი, კოლტი, რემა, ნახირი

15. რას ნიშნავს: „ყური არ ათხოვა“?
არ მოუსმინა, ყური სთხოვეს და არ მისცა, ნათქვამი გულთან არ მიიტანა.

16. ჩამოთვლილთაგან რომელი მხარე არ არის საქართველოში შემავალი?
კახეთი, ჩეჩნეთი, იმერეთი, სვანეთი

17. რომელი გეომეტრიული ფიგურა შეიძლება გაკეთდეს 4 ასანთის ღერით?
წრე, ოთხკუთხედი, სამკუთხედი

18. ვინ შემოდის ოჯახში ახალ წელს პირველი?
თოვლის დედოფალი, მეკვლე, ინკასატორი

19. რას ნიშნავს „აუნთია შემოდგომას ასკილი და მწიფე შინდი“?
ცეცხლი წაუკიდებია, დაუმწიფებია, წითლად გაუფერადებია

20. ფეხბურთის მოედანზე იყო 7 ბურთი, 2 დაიჩუტა. რამდენი ბურთი დარჩა მოედანზე?
ხუთი, შვიდი, ორი

წიგნების შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
ვიოლეტა კვირიკაშვილი – ტელ.: 890 516175, 893 134881, ელფოსტა: violeta.kvirikashvili@yahoo.com
„ახალი განათლების“ რედაქცია – 890 958023; 958023

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა

შემდგომი ეტაპი – საერთაშორისო ოლიმპიადები

დასრულდა ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა, რომელსაც ყოველწლიურად ატარებს გამოცდების ეროვნული ცენტრი.

წინ საერთაშორისო ოლიმპიადებია.

2010 წელს, ინფორმატიკის მსოფლიო ოლიმპიადაზე, ქართველ მოსწავლეთა ნაკრებმა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი ოქროს მედალი მოიპოვა.წლევანდელი ნაკრების წევრებს სხვა საგნებშიც ანალოგიური შედეგები გვინდა ვუსურვოთ.

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა – 2011-ის შესახებ გვესაუბრება გამოცდების ეროვნული ცენტრის მთავარი ლოგისტი მაია გაბუნია.

უკვე მესამე წელია, ჩვენი ცენტრი ატარებს ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადას. გამონაკლისი არც წლევანდელი სასწავლო წელი ყოფილა, ძალიან ბევრმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. ნამდვილად შეიძლება იმის თქმა, რომ ეს მართლაც მასობრივი ღონისძიებაა, რომელშიც სკოლის მოსწავლეები ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, საკუთარი სურვილით მონაწილეობენ, რაც, რა თქმა უნდა, სასიხარულოა.

წელს ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის პირველი ტური სკოლებში ჩატარდა. წინასწარ მოვიძიეთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენმა მოსწავლემ გამოთქვა მონაწილეობის სურვილი და აქედან გამომდინარე, თითოეული ქალაქისა და სოფლის სკოლას მივანოდეთ საჭირო რაოდენობის ტესტური დავალებები ყველა იმ საგანში, რომელშიც ტარდებოდა ეროვნული სასწავლო ოლიმპიადა – ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (არაქართულენოვანი სკოლებისთვის), მათემატიკაში, ისტორიაში, გეოგრაფიაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, უცხოურ ენებში, ინფორმატიკაში.

როგორც წესი, მონაწილეთა ყველაზე მეტი რაოდენობა ქართული ენისა და ლიტერატურის ოლიმპიადაზე დაფიქსირდა; მათემატიკაშიც საკმაოდ ბევრმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მათემატიკაში ხუთი ასაკობრივი ჯგუფი მონაწილეობდა, კერძოდ: VII კლ., VIIIკლ., IXკლ., Xკლ., XI-XII კლასები. ქართულ ენასა და ლიტერატურაში ორი ასაკობრივი ჯგუფი იყო, ასევე ორი ასაკობრივი ჯგუფი – უცხოურ ენებში, ქიმიაში, ბიოლოგიაში და სხვ.

მეორე ტური ჩატარდა ყველა რაიონში. ცენტრიდან გაგზავნილმა პასუხისმგებელმა პირებმა ჩაიტანეს სამუშაო რვეულები და ტესტური დავალებები.

მესამე ტური თბილისში ჩატარდა და, დაახლოებით, 2640-მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. პირველ ტურში 92 000-მდე მონაწილე დარეგისტრირდა, მათგან მეორე ტურში, დაახლოებით, 68 ათასი გამოცხადდა.

სურვილის შემთხვევაში, მოსწავლეს ყველა საგნობრივ ოლიმპიადაში შეეძლო მიეღო მონაწილეობა. გამონაკლისი იყო მხოლოდ უცხოური ენები და ეს შეზღუდვაც მხოლოთ იმით იყო გამოწვეული, რომ ტურები ყველა უცხოურ ენაში პარალელურად მიმდინარეობდა და მოსწავლეს მხოლოდ ერთ-ერთი უნდა აერჩია.

პირველადი შედეგების გამოქვეყნების შემდეგ მოსწავლეს, თუკი ის არ ეთანხმებოდა მიღებულ შეფასებას, შეეძლო დაეწერა სააპელაციო განაცხადი. ასე ხდებოდა სამივე ტურის შემთხვევაში. წელს ბევრად ნაკლები სააპელაციო განაცხადი შემოვიდა, გასულ წლებთან შედარებით. დეტალურ ინფორმაციას ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებთან დაკავშირებით შეგიძლიათ გაეცნოთ ეროვნული გამოცდების ვებგვერდზე (www.naec.ge).

ტრადიციულად, მათემატიკაში, ფიზიკაში და ინფორმატიკაში გამარჯვებულები კომაროვის, თბილისის 42-ე და ქუთაისის 41-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მოსწავლეები არიან. რაც შეეხება ქიმიას, ბიოლოგიას, გეოგრაფიას, ისტორიას, – აქ გამარჯვებულთა უმეტესობა, ძირითადად, რაიონებიდანაა, რაც მისასალმებელია.

ძალიან ბევრს აინტერესებს, როგორ დგება ოლიმპიადის მონაწილეთა რეიტინგული სია. მოგეხსენებათ, რომ გამარჯვებულია პირველი 10 საუკეთესო შედეგის მქონე მოსწავლე. მათი გამოვლენა კი, ხდება შემდეგი მეთოდით: რანჟირებული სია დგება ცალკეული ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით, მაქსიმუმიდან მინიმუმისაკენ და პირველი 10 საუკეთესო შედეგის მქონე მოსწავლე ითვლება ოლიმპიადის გამარჯვებულად. რიგითობა ათეულში – რომელი რომელ ადგილს დაიკავებს – ქულების მიხედვით ხდება. თანაბარი ქულების შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნება მეორე ტურის შედეგები. თუ მეორე ტურშიც თანაბარი ქულებია, მაშინ – პირველ ტურში მიღებული ქულებით. ვთქვათ, ორ მონაწილეს სამივე ტურში თანაბარი ქულები აქვს, ამ შემთხვევაში, ორივე მონაწილე ერთი და იმავე ადგილს დაიკავებს. მაგალითად, თუ პირველი საუკეთესო შედეგი – 24 ქულა – ორ მოსწავლეს აქვს და სამივე ტურის შედეგი იდენტურია, ორივე პირველი ადგილის მფლობელი გახდება. თუმცა, ასეთი დამთხვევა იშვიათად ხდება, მაგრამ ოლიმპიადის დებულებაში მაინც არის გათვალისწინებული.

საგნობრივი დავალებები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმების საფუძველზე და ნამდვილად არ არის იოლი. ყოველ ეტაპზე დავალებები გარკვეულწილად რთულდებოდა, რაც სავსებით ბუნებრივია. წინა წლისგან განსხვავებით, წელს, გამარჯვებულად ითვლება ის მონაწილე, რომელმაც მესამე ტურში მაქსიმალური ქულის 60%-დან ზევით დააგროვა და მოხვდა ათეულში.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია შემდგომი ეტაპი – საერთაშორისო ოლიმპიადები. ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებულთაგან ჩამოყალიბდება საქართველოს ნაკრები. ამ პროცესს სამეცნიერო ფონდი ახორციელებს. საქართველო, ტრადიციულად, ფიზიკის, მათემატიკისა და ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობს და საკმაოდ მაღალ შედეგებსაც აღწევს.

ესაუბრა
ლალი თვალაგეიშვილი

ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 36 სტაჟირებაგავლილ პრაქტიკანტს სერტიფიკატები გადაეცათ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის, საქართველოს ტექნიკური, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტებისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუნდენტებმა და მაგისტრანტებმა, 2010 წლის 1 დეკემბრიდან 2011 წლის 1 აპრილამდე, სასწავლო პრაქტიკა სამინისტროში და მის დაქვემდებარებაში შემავალ სტრუქტურებში გაიარეს.

სტაჟიორების ნაწილი პრაქტიკას გადიოდა როგორც სამინისტროს ადმინისტრაციის აპარატში, ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობის, შიდა აუდიტის, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების, სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ეკონომიკურ დეპარტამენტებში. სტუდენტთა ნაწილმა გამოცდილება ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრებში მიიღო, ხოლო ნაწილმა პრაქტიკა თბილისის, მცხეთისა და რუსთავის რესურსცენტრებში გაიარა.

სტუდენტები, რომლებმაც სასწავლო პრაქტიკის პერიოდში პროფესიონალიზმი და დაკისრებული მოვალეობისადმი ერთგული დამოკიდებულება გამოავლინეს, სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალ სხვადასხვა სტრუქტურებში დასაქმდნენ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტთა სტაჟირებას კვლავაც აქტიურად აგრძელებს. სამინისტროს მიზანია, მომავალი სპეციალისტების პროფესიონალებად ჩამოყალიბება, რაც დასაქმებაში დაეხმარებათ.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **კოკა სეფერთელაძე** და სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი **სულხან სისაური** თბილისის N42 ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის ლექციას დაესწრნენ.

საჯარო ლექცია მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ ფარგლებში გაიმართა. სკოლის მოსწავლეების სწავლის დონის ამაღლების, მეცნიერებით დაინტერესებისა და პოპულარიზაციის მიზნით, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი **კახა თავზარაშვილი** მოსწავლეებს ყოფით ცხოვრებაში საინფორმაციო და ნანო ტექნოლოგიების როლზე ესაუბრა.

სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ინიცირებული კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ ფარგლებში, საჯარო ლექციები 2011 წლის 2 მარტიდან მიმდინარეობს. აქცია საქართველოს ყველა რეგიონს მოიცავს და მასში სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების 40-ზე მეტი ქართველი მეცნიერი მონაწილეობს.

კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ მიზანია მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების სტიმულირება, ინოვაციისა და ტექნიკური პროგრესის მიმართ ინტერესის გაღვივება და მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება.

კოკა სეფერთელაძემ და სულხან სისაურმა მოზარდებს მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსის პირობები კიდევ ერთხელ დეტალურად გააცნეს და კონკურსში მონაწილეობისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდეს.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** თბილისის სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესში“, ხოლო მინისტრის პირველმა მოადგილემ **კოკა სეფერთელაძემ** „ბაქსვუდის“ საერთაშორისო სკოლაში მანდატურები წარადგინეს.

კერძო სკოლებში მანდატურების შესვლა თავად სკოლის დირექტორებმა მოითხოვეს. „მწიგნობართუხუცესისა“ და „ბაქსვუდის“ საერთაშორისო სკოლების პარალელურად, მანდატურები კიდევ შვიდ კერძო სკოლაში შევიდნენ: „მთიები“, „ნინო“, „ალბიონი“, „სადუნი“, „საერთაშორისო სახლი“, „ვაზიანი“, „ოაზისი“.

მანდატურები პოლიციის აკადემიაში „უსაფრთხო სკოლის პროგრამის“ ფარგლებში გადამზადდნენ. როგორც საჯარო სკოლებში, ასევე კერძო სკოლებში შესული მანდატურები სრულად ფლობენ იმ უნარ-ჩვევებს, რაც სკოლაში კონფლიქტების მოგვარებაში დაეხმარებათ.

მანდატურთა ფუნქცია დანაშაულის პრევენცია და ბავშვისთვის ყველა სახის დახმარების გაწევაა. მათ სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელება ეკრძალებათ და ვალდებულნი არიან, მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე იზრუნონ.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ირინე ქურდაძემ** პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში სადაზღვევო კომპანია „ალფასა“ და „ავერსის საქველმოქმედო ფონდის“ მიერ ორგანიზებულ აქციაში მიიღო მონაწილეობა. ღონისძიებაში, ასევე, მონაწილეობდა სადაზღვევო კომპანიის „ალფა“ გენერალური დირექტორი **ედუარდ ცხოვრებაძე**.

აქციის ფარგლებში, „ავერსის“ კლინიკის მაღალკვალიფიციურმა ექიმებმა პირველი ექსპერიმენტული სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს უფასო გამოკვლევა/გასინჯვა ჩაუტარეს, „ავერსის საქველმოქმედო ფონდის“ წარმომადგენლებმა სკოლას ყველა საჭირო მედიკამენტი და პირველადი დახმარების სამედიცინო ნივთები უფასოდ გადასცეს. ღონისძიება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა.

თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები სახელმწიფო პროგრამით კომპანია „ალფაში“ არიან დაზღვეულები, მათ „ავერსის“ კლინიკის ექიმებმა ხუთი მიმართულებით ჩაუტარეს კვლევა: პედიატრიული, ნევროლოგიური, კარდიოლოგიური, ოფთალმოლოგიური და ექოსკოპიური.

სადაზღვევო კომპანია „ალფა“ მსგავს აქციებს მუდმივად ატარებს. მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვას კომპანია მომავალშიც გააგრძელებს.

აუტიზმის საერთაშორისო დღე

მითიდან რეალობამდე

„ერთად დავარღვიოთ სტიგმითა და უიმედობით გაჯერებული დუმილი“

სამყარო მათთვის ხალხის, ადგილებისა და მოვლენების გროვაა... რომლის აღსაქმელადაც იბრძვიან, აღქმის პროცესმა კი შეიძლება დიდად ააღელვოს ისინი. „განსხვავებულები“ არიან, თუმცა შეიძლება გაუკვირდეთ კიდეც, რატომ არიან „განსხვავებულნი“? თუნდაც იმის ფონზე, რომ ხალხის გაგება და მათთან ურთიერთობა, ასევე ყოველდღიურ ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებაც კი, შეიძლება გაუჭირდეთ. ამ კატეგორიის ადამიანებს სამედიცინო ენაზე მოიხსენიებენ, როგორც აუტიმზმის მქონეთ, ხოლო პოპულარულ ენაზე მათ ჩვენ „განსხვავებულებს“ ვეძახით.

საკუთარ თავში ჩაკეტილი, ხშირად განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები, უცნაური ქცევით გამოირჩევიან. დიდი ხანია, რაც ასეთი ქცევის ადამიანებს, ჯერ კიდევ ტერმინის – აუტიზმის გაჩენამდე მრავალი საუკუნით ადრე მოიხსენიებდნენ. ამიტომაც აუტიზმს დიდი წარსული და შედარებით ხანმოკლე ისტორია აქვს. პირველად ტერმინი „აუტიზმი“ 1943 წელს ამერიკელმა ბავშვთა ფსიქიატრმა ლეო კანერმა გამოიყენა უკვე კლასიკად ქცეულ ნაშრომში „აფექტური კონტაქტის აუტისტური დარღვევები“.

ტერმინ „აუტიზმს” ასეთი ისტორია აქვს. ის შეიქმნა ფსიქიატრის, იუჯინ ბლეილერის მიერ 1911 წელს იმის აღსაწერად, თუ რას მიიჩნევდა შიზოფრენიის ერთ-ერთ მთავარ სიმპტომად, რაც საზოგადოებისგან განდგომა იყო. იგი მიიჩნევდა, რომ აუტიზმი, რაც სიტყვასიტყვით „საკუთარი თავით შეპყრობას“ ნიშნავს, საუკეთესოდ აღწერდა იმ ინდიფერენტულობას, რაც მის მრავალ პაციენტს აღენიშნებოდა. მეოცე საუკუნის 40-იან წლებში, როდესაც ლეო კანერი ამერიკაში და ჰანს ასპერგერი ავსტრიაში აუტიზმის არსებობას ადგენდნენ, ორივე მათგანი დამოუკიდებლად ამ ტერმინზე შეჩერდა და ისინი მიიჩნევდნენ, რომ ეს ტერმინი საუკეთესოდ შეესაბამებოდა იმას, რისი მოწმენიც ბავშვების მკურნალობისას გახდნენ.

აუტიზმი შეიძლება ასე განვმარტოთ: განვითარების შეფერხება. ის აუტიზმის სპექტრში შედის და მიიჩნევა აუტისტური სპექტრის დარღვევად. სიტყვა სპექტრი იმიტომაა გამოყენებული, რომ მაშინ, როდესაც აუტიზმით დაავადებულ ყველა ადამიანს ერთი და იგივე სამი პრობლემა აწუხებს, ეს მდგომარეობა სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენს მათზე. ზოგიერთს შეუძლია შედარებით „ყოველდღიური“ ცხოვრებით იცხოვროს მაშინ, როდესაც სხვები მთელი ცხოვრების მანძილზე სპეციალისტის დახმარებას საჭიროებენ.

ის სამი სახის პრობლემა, რომელიც ყველა აუტიზმის მქონე ადამიანს აწუხებს, ზოგჯერ „უარესობათა ტრიადად“ მოიხსენიება. ესენია:

- საზოგადოებასთან ურთიერთობა;
- საზოგადოებასთან კავშირის დამყარების, ინტეგრაციის პრობლემა;
- საზოგადოებრივი წარმოსახვის პრობლემა.

აუტიზმთან დაკავშირებული სირთულეები მხოლოდ მისი განსაკუთრებული სპეციფიკურობით არ არის გამოწვეული. დიდწილად პრობლემის სათავე საზოგადოებრივ სტიგმაშია საძებნელი. ქცევის განსხვავებულობის, ხშირად მენტალური პრობლემების არსებობის გამო სოციალური დისკრედიტაციის წარმოქმნის წინაშე არსებული შიში ქმნის სტიგმას, რომლის მთავარი მაცოცხლებელი ძალა საზოგადოების ცოდნის და ინფორმირებულობის დეფიციტშია საძებნელი. რამდენიმე ათეული წლის წინ მსგავსი მდგომარეობა იყო ამჟამად წარმატებულ სახელმწიფოებშიც, ანალოგიური პრობლემებია კვლავაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. სწორედ ამიტომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ აუტიზმი ჯანმრთელობის გლობალურ კრიზისად აღიარა, ხოლო მდგომარეობის გაუმჯობესების ყველაზე ეფექტურ მექანიზმად აუტიზმის შესახებ ცოდნის ამაღლება მიიჩნია. 2007 წლიდან, გაეროს რეზოლუციით, აუტიზმის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მსოფლიო დღედ 2 აპრილი გამოცხადდა.

რეზოლუციას ერთხმად შეუერთდა მსოფლიოს ყველა ქვეყანა, მათ შორის საქართველოც. აღნიშნული გადაწყვეტილება განპირობებული იყო აუტიზმის შემთხვევათა მაღალი, მზარდი სიხშირით, პრობლემების სიმძიმითა და სპეციფიკურობით, რის გამოც აუტიზმი შეფასდა მსოფლიოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გლობალურ კრიზისად და მნიშვნელოვან გამოწვევად.

აუტიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მსოფლიო დღის მიზანია, რეზოლუციაზე მიერთებულმა სახელმწიფოებმა გადადგან ქმედითი ნაბიჯები საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიმართულებით და თავიანთ ქვეყნებში უზრუნველყონ აუტიზმის მქონე ადამიანების მინიმალური ფუნდამენტური უფლებების რეალიზაცია – იყვნენ დროულად დიაგნოსტირებულნი და ისარგებლონ ადრეული ჩარევის პროგრამით, ადეკვატური სამედიცინო და სოციალური მომსახურებით.

წელს, საქართველოში პირველად, აღინიშნა 2 აპრილი – აუტიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების დღე. ამ სფეროში ყველაზე წარმატებული დასავლური გამოცდილება სწორედ აუტიზმის მქონე ადამიანების ფუნდამენტური უფლებების დაცვისა და მათი მშობლების პროცესში აქტიური ჩართვის შესანიშნავ მაგალითებს იძლევა. ამის შესანიშნავი მაგალითია აუტიზმის ლეგენდად აღიარებული ბერნარდ რიმლანდის, აუტიზმის მქონე ბიჭუნას მამის ღვაწლი, რომელიც არ შეეგუა ექიმების მხრიდან მისი შვილისთვის გამოტანილ „უპერსპექტივო შემთხვევის“ დიაგნოზ-განაჩენს. რიმლანდმა მთელი ცხოვრება აუტიზმის შესწავლას მიუძღვნა და სრულიად ახალგაზრდა ასაკში სამეცნიერო არგუმენტებით გააცამტვერა 60-იან წლებში მსოფლიოში გავრცელებული და ავტორიტეტული მეცნიერების მიერ აღიარებული სამეცნიერო მითი, რომლის მიხედვით აუტიზმის გამომწვევი მიზეზი მშობლების მხრიდან სიყვარულის და ურთიერთობის დეფიციტი იყო. ის ბიჭუნა კი დღეს ცნობილი მხატვარი გახლავთ. ამგვარი თავგანწირული მაგალითებით სავსეა აუტიზმის ისტორია. ამჟამად ჩრდილოეთ კოროლინას უნივერსიტეტში შექმნილი, ყველაზე სანდო სამეცნიერო მტკიცებულებების მქონე ქცევის კორექციის პროგრამაც ე.წ. TEACCH, აუტიზმის მქონე ბავშვების მშობლების ინიციატივის და ამ დარგში მომუშავე მეცნიერების ერთობლივი მუშაობის შედეგად შეიქმნა. რადგან არსებობს მისაბაძი მაგალითები, აპრობირებული მეთოდები და უკვე გაკვალული ბილიკები, საქართველოს აუტიზმის საზოგადოებას გაუადვილდება იმ მთავარი მიზნის მიღწევა, რაც ქვეყანაში აუტიზმის შესახებ ცოდნის ამაღლებას, საზოგადოების კონსოლიდაციას, აუტიზმის მქონე ადამიანების და მათი ოჯახების ჩართულობის გაზრდას ისახავს. „ჩვენ ერთად უნდა შევქმნათ სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს აუტიზმის მქონე ადამიანების ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციას.“ – ეს განცხადება საქართველოს აუტიზმის საზოგადოებას ეკუთვნის, რომელიც 2010 წელს შეიქმნა და მასში გაერთიანდნენ პროფესიონალები, აუტისტური სპექტრის აშლილობების მქონე პირთა მშობლები და ოჯახის წევრები.

რა ასაკში ვლინდება აუტიზმისთვის დამახასიათებელი ნიშნები?

აუტიზმის კლინიკური გამოვლინება იწყება 3 წლის ასაკამდე. თუმცა აუტიზმის ყოველი კონკრეტული შემთხვევა მკვეთრად ინდივიდუალურია. ზოგი ბავშვი მის ნიშნებს ადრეული ჩვილობის ასაკში ავლენს, ზოგი კი მოგვიანებით. განვითარება შეიძლება ნორმალურად მიმდინარეობდეს რამდენიმე თვე ან წელიც კი და ბავშვმა შეიძლება მოგვიანებით დაკარგოს მანამდე არსებული მეტყველების უნარი, გამოუვლინდეს კომუნიკაციის ან სხვა პრობლემები.

რა ძირითადი ნიშნებით ხასიათდება აუტიზმი და მისი მსგავსი მდგომარეობები?

აუტისტური სპექტრის აშლილობები მიეკუთვნება ნეიროგანვითარებითი დარღვევების ჯგუფს და მისთვის დამახასიათებელია დარღვევები 3 სფეროში:

- სოციალური ურთიერთობის;
- ვერბალური (სიტყვებით) ან არავერბალური (ჟესტებით) კომუნიკაციის;
- ქცევის (ინტერესთა დიაპაზონის შემცირება, აკვიატებული და სტერეოტიპული (ერთი და იგივე) მოძრაობები, ცვლილებების აუტანლობა).

რა არის ის საყურადღებო/საგანგაშო ნიშნები, რასაც მშობელმა უნდა მიაქციოს ყურადღება და როდის უნდა მიმართოს ექიმს?

საყურადღებო ნიშნები, პირობითად, შეიძლება დაიყოს 2 ჯგუფად – 2 წლის ასაკამდე და 2 წლის ასაკის შემდეგ გამოვლენილ ნიშნებად. თუ თქვენი შვილი ჯერ კიდევ არ არის 2 წლის, მაგრამ:

- არ რეაგირებს სახელის დაძახებაზე და მიმართვაზე, თითქოს არც ესმოდეს;
- არ გიყურებთ თვალებში მასთან ურთიერთობის დროს;
- ეწინააღმდეგება ჩახუტებას და ხელში აყვანას;
- ვერ ხვდება ან უჭირს სხვისი ემოციების აღქმა, რადგან ვერ იგებს ისეთ სოციალურ მინიშნებებს, როგორიცაა მეტყველების დროს ტონის ან სახის გამომეტყველების ცვლილება, არ უყურებს ადამიანებს სახეზე და არც შესაბამისი ქცევა იცის;
- ბევრჯერ იმეორებს ერთი და იგივე მოძრაობებს (ბრუნვა, ტრიალი, რხევა, ხელების ქნევა) ან აქვს თვითდამაზიანებელი ქცევა (კბენა, თავის დარტყმა);
- 12 თვის ასაკისთვის არ ტიტინებს;
- 12 თვის ასაკისთვის არ იყენებს ჟესტებს (თითით მინიშნება, დასამშვიდობებლად ხელის დაქნევა);
- 16 თვისთვის არ ამბობს არც ერთ სიტყვას;
- 24 თვისთვის არ ამბობს ორსიტყვიან ფრაზას (გამეორება არ იგულისხმება).

თუ თქვენი შვილი უკვე გახდა 2 წლის, მაგრამ:

- დაკარგა მანამდე შეძენილი სამეტყველო და სოციალური უნარ-ჩვევები;
- გვიან დაიწყო ლაპარაკი და საკუთარ თავს ხშირად მოიხსენიებს მესამე პირში (და არა როგორც „მე“-ს);
- დაკარგა მანამდე ნასწავლი სიტყვების ან წინადადებების გამოყენების უნარი;
- ლაპარაკობს არაბუნებრივ, უჩვეულო ტონსა და რიტმში (წამღერებით ან რობოტივით);
- არ იწყებს და არც ერთვება დიალოგში;
- აქვს განსაკუთრებული რიტუალები და რეჟიმი და ძალიან წუხს, როცა ირღვევა მისი ეს რეჟიმი და რიტუალები;
- დიდი ხნით მოინუსხება ხოლმე საგნის რომელიმე ნაწილით, მაგ.: სათამაშო მანქანის მბრუნავი ბორბლით;
- განსაკუთრებით მგრძნობიარეა შეხებაზე, სინათლესა და ხმაურზე, მაგრამ იშვიათად – ტკივილზე.

აუცილებლად უნდა მიმართოთ ექიმს.

რამდენად ხშირია აუტიზმი და არის თუ არა განსხვავება სიხშირის მიხედვით გოგონებსა და ვაჟებში?

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ აუტისტური სპექტრის აშლილობების სიხშირე თანდათან მატულობს: 1966 წლის მონაცემებით, სიხშირე იყო 1000-დან 2,5; 2001 წელს – 1000-დან 16,8; ხოლო 2009 წელს გამოქვეყნდა საგანგაშო ეპიდემიოლოგიური მონაცემები იმის შესახებ, რომ აშშ-ს 3-დან 17 წლამდე ასაკის პოპულაციაში აუტისტური სპექტრის აშლილობები აღმოაჩნდა 67300 ადამიანს, ანუ გადააჭარბა 1%-ს და გახდა 1,1%, 60-იანი წლების მონაცემებთან შედარებით 4-ჯერ მოიმატა. აღმოჩნდა, რომ ვაჟებს 3-4-ჯერ უფრო ხშირად აქვთ აუტიზმი, ვიდრე გოგონებს. საქართველოში ჩატარებული კვლევით აუტისტური სპექტრის აშლილობები 110-დან ერთ ადამიანს აქვს.

ასევე ცნობილია, რომ ყოველ 20 წუთში, მსოფლიოში, ერთ ადამიანს უდგინდება აუტისტური სპექტრის აშლილობების დიაგნოზი.

დაავადებათა კონტროლის ცენტრის განცხადებით, აშშ-ში ყოველწლიურად იბადება 4 მლნ ახალშობილი და მათგან 36 500 აქვს აუტიზმი. ამავე ფარდობას თუ საქართველოზეც გამოვიყენებთ და გავითვალისწინებთ, რომ ყოველწლიურად საქართველოში დაახლოებით 50000 ბავშვი იბადება, ჩვენთან უნდა იბადებოდეს 450 ბავშვი აუტისტური სპექტრის აშლილობებით (!). როგორც ხედავთ, სტატისკური მონაცემები მართლაც საგანგაშოა.

ასეთი სტატისტიკის გამო, 2007 წლის 18 დეკემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია აუტიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მსოფლიო დღის აღნიშვნის შესახებ, რომლითაც მოუწოდა წევრ ქვეყნებს, განახორციელონ ღონისძიებები აუტიზმის შესახებ საზოგადოების გათვითცნობიერებულობის ასამაღლებლად და ხელი შეუწყონ ადრეულ დიაგნოსტიკასა და ინტერვენციას.

აუტიზმის საერთაშორისო დღე

არის თუ არა დადგენილი რა იწვევს აუტიზმს?

დადგენილი არ არის აუტიზმის გამომწვევი ერთი, ყველა შემთხვევისთვის საერთო მიზეზი. მისი სირთულიდან და კლინიკურ გამოვლინებათა მრავალგვარობიდან გამომდინარე, მიზეზი ბევრია: მკვლევარებმა დაადგინეს აუტიზმის განვითარებაზე პასუხისმგებელი რამდენიმე გენი; გამოითქვა ვარაუდი, რომ გენური დეფექტი განაპირობებს თავის ტვინის ნორმალური განვითარებისა და ნეირონების ურთიერთკავშირის რეგულირების დარღვევას მუცლადყოფნის ადრეულ პერიოდში.

აუტიზმის სავარაუდო მიზეზებს მიეკუთვნება გენეტიკური დარღვევები და გარემო ფაქტორები (აუტიზმის ვირუსულ ინფექციებთან და გარემოს ტოქსინებთან კავშირის დადგენა თანამედროვე კვლევების მიზანს წარმოადგენს). სხვა მიზეზებიდან კვლევის სტადიაშია აუტიზმის განვითარებაზე ისეთი ფაქტორების ზეგავლენის დადგენა, როგორიცაა ორსულობის და მშობიარობის პერიოდის პრობლემები, იმუნური სისტემის დარღვევები. არსებობს მონაცემები, აუტიზმის შემთხვევებში, ამიგდალას (თავის ტვინის ნაწილის) დაზიანების შესახებ.

იკურნება თუ არა აუტიზმი?

აუტიზმის განკურნება ვერ ხდება, არც ყველა ბავშვისთვის საერთო, სტანდარტული მკურნალობა არსებობს, თუმცა ბინაზე და სპეციალურ ცენტრებში ჩასატარებელი მკურნალობა და ინტერვენციები მრავალფეროვანია, ესენია:

- ქცევითი და კომუნიკაციური თერაპია;
- საგანმანათლებლო თერაპია;
- მედიკამენტური თერაპია.

აშშ-ს მონაცემებით, 3 წლამდე დაწყებული ინტერვენციის (ჩარევის) შემთხვევები, სტატისტიკურად სარწმუნოდ, უფრო ხშირად ახერხებენ დამოუკიდებელ ცხოვრებასა და უმაღლესი განათლების მიღებას. ამიტომაც რეკომენდებულად ითვლება ჩარევის დაწყება ადრეულ ასაკში. სარწმუნო ეფექტურობა აქვს ქცევით თერაპიას. სამწუხაროდ, ამ ტიპის ჩარევა საქართველოში არ ხდება. ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა და იმედია, მოხერხდება ამ მეთოდის აქტიური დანერგვა საქართველოში.

მსოფლიოში შექმნილია მრავალი პროგრამა აუტიზმის თანმხლები სოციალური, სამეტყველო და ქცევითი პრობლემების კორეგირებისთვის. ისინი გამოიყენება პრობლემური ქცევის შემცირებისა და ახალი უნარ-ჩვევების დასწავლისათვის, ნაწილი კი – სოციალურ სიტუაციებში და სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას ქცევის გაუმჯობესების სწავლებისათვის.

არ არსებობს მედიკამენტი, რომელიც განკურნავს აუტიზმს, მაგრამ შფოთვის სიმპტომების შესამსუბუქებლად და ქცევის გასაუმჯობესებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს გარკვეული მედიკამენტები.

აუტიზმის მქონე ბავშვის მოვლა ყოველდღიური, უწყვეტი პროცესია, რომელიც გავლენას ახდენს მთელ ოჯახზე. ბავშვებს აუტიზმი კი არ გაუვლით, არამედ ისწავლიან მასთან ერთად ცხოვრებას. მნიშვნელოვანია მშობლებისა და ოჯახის წევრების მუდმივი ჩართულობა ამ პროცესში.

აუტიზმის მახასიათებლები

ყველა ადამიანში სხვადასხვაგვარად ვლინდება ეს დაავადება, მაგრამ სამი მთავარი პრობლემის გარდა, აუტიზმის მქონე ადამიანს შეიძლება აღენიშნებოდეს:

- რუტინის სიყვარული;
- მომატებული მგრძნობელობა;
- განსაკუთრებული ინტერესები;
- შემეცნების დაქვეითებული უნარი.

რუტინის სიყვარული

ერთი ახალგაზრდა პიროვნება დღის წირვას ესწრებოდა ხოლმე. ტაქსს აიყვანდა, კართან ფეხით მივიდოდა, აკაკუნებდა და შედიოდა. ერთ დღეს კარი მანამდე გაიღო, სანამ დააკაკუნებდა და ვიღაც გამოვიდა. ღია კარში შესვლის ნაცვლად, ის უკან დაბრუნდა და ჩვეული მოქმედება გაიმეორა.

აუტიზმის მქონე ხალხისთვის ეს სამყარო უფრო დამაბნეველია, ვიდრე ჩვენთვის. უმეტეს შემთხვევაში, მათ ურჩევნიათ ყოველდღე ერთი და იგივე აკეთონ რათა იცოდნენ, რა არის მოსალოდნელი მეორე დღეს. ეს რუტინა შეიძლება იყოს სამსახურში ან სკოლაში ყოველდღე ერთი და იმავე გზით სიარული, ან საუზმედ ერთი და იმავე საჭმლის მირთმევა.

წესებიც დიდად მნიშვნელოვანია: აუტიზმით დაავადებულს შეიძლება გაუჭირდეს რაღაცის სხვანაირად მიდგომა, მას შემდეგ, რაც მას სწორად მოქცევა ასწავლეს. აუტიზმით დაავადებულ ხალხს დიდად არ აღაფრთოვანებს ცვლილების იდეა, მაგრამ ეგუებიან მას წინასწარ შემზადების შემთხვევაში.

მომატებული მგრძნობელობა

როუანი ხელოვნების მოყვარულია, მაგრამ სამოსის დამცავი მაისურის ჩაცმა ეჯავრება – ქსოვილის შეხება კანზე სასოწარკვეთილებაში აგდებს. მის პედაგოგთან შევთანხმდით, რომ წინსაფარს გაიკეთებს მაისურის სანაცვლოდ.

აუტიზმით დაავადებულებს შეიძლება მომატებული მგრძნობელობა აღენიშნებოდეთ, რამაც შეიძლება თავი იჩინოს ერთი ან რამდენიმე გრძნობის – მხედველობის, სმენის, ყნოსვის, შეხებისა ან გემოს შეგრძნების მხრივ. პიროვნების შეგრძნებები ან ძალიან მძაფრია, ან არა.

მაგალითად, აუტიზმით დაავადებულ ადამიანს შეიძლება ზოგიერთი დაფარული ხმა, რომელზეც სხვები ყურადღებას არ ამახვილებენ, აუტანლად ხმამაღალი მოეჩვენოს და თავგზა აუბნიოს, რაც მის შფოთვასა და ფიზიკურ ტკივილსაც კი იწვევს.

ხალხმა, რომელიც არ არის მგრძნობიარე, შეიძლება ვერ იგრძნოს ტკივილი ან ძლიერი სიცხე. შეგრძნებების სტიმულირების მიზნით, შესაძლოა ატრიალონ ან მიატყუპონ ხელები, რათა წონასწორობა დაიცვან, შეეგუონ ან გაუმკლავდნენ სტრესს.

მომატებული მგრძნობელობის მქონე ადამიანებს შესაძლოა ასევე გაუჭირდეთ თავიანთი სხეულის შეცნობის სისტემის გამოყენება. ეს სისტემა გვამცნობს სად ვიმყოფებით. ასე რომ, დაქვეითებული უნარის მქონეთათვის შეიძლება რთული აღმოჩნდეს ოთახების მიგნება, სხვებთან ნორმალური მანძილის მოშორებით დადგომა და „ჩვეულებრივი მოძრაობის" გაკეთება, როგორიც, მაგალითად, ფეხსაცმლის თასმის შეკვრაა. ზოგიერთმა ასეთმა ადამიანმა შეიძლება წონასწორობის ან პოზის შესანარჩუნებლად წაიბარბაცოს.

განსაკუთრებული ინტერესები

ბევრ აუტიზმით დაავადებულს აქვს განსაკუთრებული ინტერესი რაღაცის მიმართ, ხშირ შემთხვევაში – ძალიან ადრეული ასაკიდან. დროთა განმავლობაში ეს ინტერესი შეიძლება შეიცვალოს ან მთელი ცხოვრების მანძილზე დარჩეს. ეს შეიძლება იყოს ხელოვნების რომელიმე სფერო, კომპიუტერი და ა.შ. ზოგიერთი აუტიზმით დაავადებული სასურველ სფეროშიც მუშაობს ან სწავლობს, სხვებისთვის კი ეს ინტერესი რჩება ჰობი.

ზოგჯერ შეიძლება აუტიზმის მქონე ადამიანი უცნაური რამითაც დაინტერესდეს. ერთ-ერთ მათგანს ნაგვის შეგროვება იტაცებდა, რაც ნაგვის გადამუშავებასა და გარემოს დაცვის საკითხებში შედის.

აუტიზმით დაავადებულებს შეიძლება სწავლა გაუჭირდეთ, რამაც შესაძლოა ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტში იჩინოს თავი, იქნება ეს სკოლაში სიარული, რეცხვა თუ საჭმლის მომზადება. როგორც აუტიზმის შემთხვევაში, აუტიზმის არმქონე ხალხსაც შეიძლება სხვადასხვა სიმძიმის პრობლემა ჰქონდეთ სწავლის მხრივ. ასე რომ, ზოგიერთ მათგანს დამოუკიდებლად ცხოვრება შეუძლია. თუმცა, ამის მისაღწევად შეიძლება გარკვეული სახის დახმარება დასჭირდეს მაშინ, როცა სხვებს მთელი ცხოვრების მანძილზე სჭირდებათ სპეციალისტის დახმარება. თუმცა, ყველა აუტიზმის მქონე ადამიანს შეუძლია ისწავლოს და გაიუმჯობესოს მდგომარეობა სწორი დახმარების საშუალებით.

არსებობს სხვაგვარი მდგომარეობები, რომელიც აუტიზმთან ასოცირდება, მაგალითად ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომი ან სწავლის ისეთი პრობლემები, როგორებიცაა: დისლექსია და დისპრაქსია.

* * *

საქართველოს აუტიზმის საზოგადოებამ, 2 აპრილს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში საზოგადოებას წარუდგინა ვებგვერდი და აუტიზმის სტრატეგიული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს აუტისტური სპექტრის აშლილობების მქონე პირთა მშობლების და პროფესიონალების გაერთიანებას, არსებული რესურსების მოძიებას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე რეგიონსა და მსოფლიოში, კავშირების დამყარებას გამოცდილების მქონე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და აუტისტური სპექტრის აშლილობების მქონე პირთა სერვისის ჩამოყალიბებას.

აუტიზმის სტრატეგიული გეგმის მიზანია ხელი შეუწყოს აუტისტური სპექტრის აშლილობების (ასა) მქონე სკოლამდელი ასაკის ბავშვთა იდენტიფიკაციას, შეფასებას, დიაგნოსტიკას და ადრეული ინტერვენციის პროგრამის (აიპ) განხორციელებას, რაც აუცილებელია ამ ბავშვებისა და მათი ოჯახების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია:

1. ასა-ს შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება;
2. ასა-ს შესახებ პროფესიონალთა (პირველადი ჯანდაცვის ექიმების, მეორეული და მესამეული დონის მულტიდისციპლინური გუნდის) ცოდნის ამაღლება, საჭირო სპეციალისტთა მომზადება;
3. ასა-ს მქონე სკოლამდელი ასაკის ბავშვთა იდენტიფიკაციის და შეფასების სერვისის შექმნა;
4. ასა-ს მქონე სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ჯანდაცვის სერვისის დიზაინის შექმნა;
5. ასა-ს მქონე სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ოჯახების კომუნიკაციის და ინფორმირების ამაღლება.

პილოტური კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოს ეპიდემიოლოგიური მონაცემები არ განსხვავდება მსოფლიო მონაცემებისგან და ამ დარღვევათა სიხშირე შეადგენს 0,89%-ს.

2010 წელს აუტიზმის საზოგადოების შექმნა (მასში გაერთიანებულია პროფესიონალები, აუტისტური სპექტრის აშლილობების მქონე პირთა მშობლები და ოჯახის წევრები) უკავშირდება საქართველოს ბავშვთა ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაციას, რომელმაც 2008-2009 წლებში, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, ჩაატარა სამეცნიერო კვლევა „აუტისტური სპექტრის აშლილობები საქართველოში: დიაგნოსტიკისა და ეპიდემიოლოგიის საკითხები". პილოტური კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოს ეპიდემიოლოგიური მონაცემები არ განსხვავდება მსოფლიო მონაცემებისგან და ამ დარღვევათა სიხშირე შეადგენს 0,89%-ს.

კვლევის ფარგლებში, ასოციაციამ შეიძინა აუტიზმის სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტები (ADI-R, ADOS) და მოიპოვა მათი გამოყენების ექსკლუზიური უფლება (ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით – გრანტი MHPA/02/09-16145 – ორმა სპეციალისტმა გაიარა მომზადება დიდ ბრიტანეთში).

„შემოგვიერთდით, რათა ერთად დავარღვიოთ სტიგმითა და უიმედობით გაჯერებული დუმილი და დავიწყოთ აქტიური ქმედება" – ეს აუტიზმის საზოგადოების მოწოდებაა, რომელიც დაანგრევს მითს და დაგვანახებს რეალობას – **მითს, რომელიც აუტიზმს წარმოაჩენს** გონებრივი განვითარების პრობლემად, რომლის გამოც აუტიზმის მქონე ადამიანები ვერ სწავლობენ; ან ის უბრალოდ არასწორი აღზრდის შედეგია; აუტიზმის მქონე ადამიანებს არა აქვთ გრძნობები და ემოციები, არ აინტერესებთ სხვა ადამიანები და მათი ემოციები და ვერც მათთან ურთიერთობენ, რომ აუტიზმის მქონე ადამიანები ყოველთვის ფლობენ განსაკუთრებულ უნარებს; აუტიზმის მქონე ბავშვები არ ლაპარაკობენ; აუტიზმის მქონე ადამიანში ნორმალური ადამიანი ჩაკეტილია და თუ უპოვით გასაღებს, ნორმალურ ადამიანს გაათავისუფლებთ; აუტისტური სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვი ვითარდება მხოლოდ ადრეული ჩარევის დროს, ანუ მაშინ, როცა მისი ტვინი შედარებით პლასტიურია, ხოლო როგორც კი აღწევს სკოლის

ასაკს, მისი განვითარება ჩერდება; არ არსებობს ჯადოსნური წამალი რომელიც განკურნავს აუტიზმის მქონე ბავშვს და თქვენი ოჯახის ცხოვრებაც ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდება; აუტიზმი არის ბავშვის ცხოვრებაში არსებული ყველა პრობლემის მიზეზი; აუტიზმს იწვევს ვაქცინაცია (აცრა).

რეალობა აუტიზმის შესახებ კი ასეთია:

1. უამრავი მშობელი და ასობით კვლევა დაგვიდასტურებს განსხვავებულ მოსაზრებას აუტიზმის მქონე ადამიანების დასწავლის უნარის შესახებ;
2. 1950 წლამდე არსებობდა მოსაზრება მშობლების „დანაშაულის" შესახებ, თითქოს მათ სიყვარულს და ზრუნვას მოკლებულ ბავშვებს უვითარდებოდათ აუტიზმი. რეალურად კი, აუტიზმი ნეიროგანვითარებითი დარღვევაა და არ არის დამოკიდებული მშობლის ქცევაზე;
3. მშობლებმა გაცილებით მეტი იციან თავიანთ შვილზე, კარგად იცნობენ მას და ამიტომ ზოგჯერ ექიმის ლოდინის ტაქტიკა მხოლოდ დროის კარგვა და დროული ინტერვენციის დაგვიანებაა;
4. აუტიზმის მქონე ადამიანი შეიგრძნობს ისევე, როგორც სხვა და მას შეუძლია სხვისი თანაგრძნობა, ოღონდ მისი ემოცია, ქცევა და გამოხატვის უნარი განსხვავებულია, ზოგჯერ არაადეკვატური, უცნაური და გაუგებარი;
5. აუტიზმით დაავადებულთა მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს მათემატიკის, კალკულაციის, მუსიკის ან სხვა რაიმე განსაკუთრებული ნიჭი და უნარი;
6. არ არის სავალდებულო, რომ აუცილებლად იყოს მეტყველების უნარის დაქვეითება ან არარსებობა. აუტისტური სპექტრის აშლილობების შემთხვევათა მხოლოდ გარკვეულ ნაწილს ახასიათებს სხვადასხვა ხარისხით გამოხატული მეტყველების პრობლემა;
7. მითი ნორმალური ბავშვის ჩაკეტვის შესახებ არარეალურია და არამეცნიერული. რეალურად აუტიზმი არის ინფორმაციის მიღებისა და აზროვნების, სოციალური ურთიერთობების განსხვავებული ვარიანტი და არანაირად არ უკავშირდება ბავშვის ჩაკეტვა-გაღების მექანიზმს;
8. მართალია პატარა ბავშვები უფრო ადვილად ისრუტავენ ინფორმაციას და ითვისებენ სხვადასხვა უნარ-ჩვევებს, მაგრამ სწავლება არ უნდა შეწყდეს არც ერთ ასაკში. ეს უნდა იყოს უწყვეტი პროცესი;
9. მშობლებმა არ უნდა უარყონ შვილის აუტიზმი. რეალობა არის ის, რომ ეს დაავადება ბავშვს აქვს, არის მისი ნაწილი, არის თქვენი და თქვენი ოჯახის ნაწილი. ამიტომაც არის თქვენი ბავშვი გამორჩეული და უნიკალური. თქვენ ის უნდა მიიღოთ ისეთი, როგორიც არის, თუმცა მკურნალობა და დახმარება არ უნდა შეწყვიტოთ. გახსოვდეთ, აუტიზმი არ არის თქვენი მტერი!
10. ყოველ ჩვენგანს აქვს ინდივიდუალური თვისებები, ზოგი გახსნილია და კონტაქტური, ზოგი – საკუთარ თავშია ჩაკეტილი. ასევეა აუტიზმის მქონე ბავშვიც, მასაც აქვს თვისებების უნიკალური კომბინაცია და რაც მეტი გეცოდინებათ თქვენი შვილის შესახებ, მით მეტად შეძლებთ მისი ქცევისა და სურვილების გაგებას. როდესაც უყურებთ თქვენს ბავშვს, დაინახეთ პიროვნება და არა აუტიზმი;
11. არც ერთი კვლევით აუტიზმსა და ვაქცინაციას შორის კავშირი არ დადასტურებულა.

* * *

აუტიზმი უფრო მეტადაა გავრცელებული, ვიდრე ხალხს ჰგონია. გაერთიანებულ სამეფოში დაახლოებით მილიონნახევარი ადამიანია დაავადებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველ ას ადამიანში ერთს აუტიზმი აღენიშნება.

ყველა ეროვნებისა და კულტურის, რელიგიისა და საზოგადოების ადამიანს შეიძლება ჰქონდეს აუტიზმი, თუმცა, ეს დაავადება მამაკაცებს უფრო ხშირად ემართებათ. ეს მდგომარეობა მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება: აუტიზმის მქონე ბავშვები აუტიზმის მქონე მოზარდები ხდებიან.

ამჟამად აუტიზმის „წამალი" არ არსებობს. თუმცა, არსებობს ინტერვენციათა მთელი რიგი და სწავლა-განვითარების ხელშემწყობი მეთოდები, რომელთა საშუალებითაც ადამიანის დახმარება შეიძლება. 2 აპრილს, მსოფლიო აუტიზმის დღეს, საქართველოშიც დაირღვა უიმედობით გაჯერებული დუმილი, საფუძველი ჩაეყარა სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს აუტიზმის მქონე ადამიანების ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციას.

მოამზადა ***ლალი ჯელაძემ***

საგანმანათლებლო კერა

სასულიერო სემინარია

ლია გაგუნია
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ახალი ისტორიისა და განათლების განყოფილების კოორდინატორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი, უნივერსიტეტთან არსებული ქუთაისის და მისი რეგიონის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

გურამ გაგუნია
სრული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებათმცოდნეობის ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის სრული პროფესორი, უნივერსიტეტთან არსებული ქუთაისის და მისი რეგიონის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-კონსულტანტი

დასასრული. დასაწყისი იხ. №13

ყოველივე ამან გამოიწვია გონებრივად განვითარებული, მოაზროვნე სემინარიელების აღშფოთება და აჯანყება. მათ, როგორც ასეთ შემთხვევაში ხშირად ხდება ხოლმე, აჰყვა ავანტიურისტი და უვიცი ადამიანების მასაც. მიტმასნილთა ქმედება უკონტროლო ხდებოდა და ხშირი იყო სამარცხვინო შემთხვევებიც.

სემინარიიდან გარიცხულმა მოწაფემ ვარლამ ბაქრაძემ შეურაცხყო სემინარიის ეკლესია, ეკლესიის ხატები და ტრაპეზი. ამ მიუტევებელი ფაქტის შესახებ ეცნობა საქართველოს ეგზარქოსს, სინოდს, შემდეგ კი იმპერატორსაც. მათმა აღშფოთებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია და, ეგზარქოსის განკარგულებით, სემინარიაში დაუყოვნებლივ შეწყდა მეცადინეობა. დაიწყო გამოძიებაც, მაგრამ დამნაშავე ვერ შეიპყრეს. ეს ფაქტი გახდა საბოლოო საბაბი ქუთაისის სასულიერო სემინარიის დახურვისა, თუმცა მას წინ უძღოდა სხვა მრავალი ხელისშემწყობი ფაქტორიც.

მაგალითად, სემინარიის გამგეობა მოსწავლეებს არ აძლევდა უფლებას, თავისი სურვილისამებრ შეერჩიათ წასაკითხი ლიტერატურა. თუმცა, ქუთაისის სემინარიას საკმაოდ მდიდარი წიგნადი ფონდი ჰქონდა, მაგრამ მათი მიწოდება სემინარიელებისათვის სასტიკად აიკრძალა. ყოველივე ეს ხელს უწყობდა მოსწავლეთა სულ უფრო მეტი რაოდენობით „დამნაშავედ“ გადაქცევას და შემდეგ ხელმძღვანელობის მიერ მათ დასჯას. ასე მწვავდებოდა ურთიერთობა ახალგაზრდებსა და პედაგოგებს შორის. სემინარია დაღუპვისაკენ მიექანებოდა. ცეცხლზე ნავთს ასხამდა ქუთაისში საერთო რევოლუციური მოძრაობის გამწვავებაც. ამ მოძრაობის ცენტრში აღმოჩნდა ბევრი სემინარიელიც. ისინი, თავის მხრივ, პროკლამაციებს ამხანაგებშიც ავრცელებდნენ.

1902 წლის 2 ნოემბერს სემინარიის ინსპექტორმა აღმოაჩინა ორი ცალი დაბეჭდილი პროკლამაცია. მათი რუსული ტექსტი ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინახება. პროკლამაციებში აღწერილი იყო სემინარიაში შექმნილი გაუსაძლისი მდგომარეობა. ავტორები მოუწოდებდნენ პირობების გასაუმჯობესებლად გაერთიანებული ბრძოლისაკენ.

გაიგო თუ არა სემინარიის რექტორმა ამ პროკლამაციათა შინაარსი, სასწრაფოდ ჩამოიარა ყველა კლასი და გაკიცხა „დამნაშევათა“ მოქმედება. მოსწავლეთა დასჯასა და მეთვალყურეობაში მას ეხმარებოდა სემინარიის ინსპექტორი და მასწავლებლები. დაკითხეს ის მოსწავლეები, რომელთაც პროკლამაციები აღმოუჩინეს, მაგრამ ისინი დუმდნენ. ამიტომ მისცეს წინადადება, დაეწერათ განცხადებები და თავისი ნებით დაეტოვებინათ სემინარია. სემინარიელებმა – ნ. ცინცაძემ და გ. წივწივაძემ – უარი განაცხადეს ამ უკანონო მოთხოვნაზე. მოსწავლეთა მღელვარება კვლავ გრძელდებოდა. სემინარიიდან გარიცხეს 10 ახალგაზრდა. 1904 წელს გამგეობამ წინადადება მისცა 12 მოსწავლეს, სემინარია დაეტოვებინათ. მიუხედავად ხელმძღვანელობის მცდელობისა, რევოლუციური გამოსვლები გრძელდებოდა. სემინარიელებს თანაქალაქელი გიმნაზიელებიც შეუერთდნენ.

ამის შემდეგ მალე მოხდა ვ. ბაქრაძის მიერ ხატების შეურაცხყოფის ფაქტი და, 1904 წლის 15 ივნისის ბრძანებულებით, სემინარია ოფიციალურად დაიხურა. 20 ივნისისათვის სემინარიის გამგეობამ ამ ფაქტის შესახებ უკვე იცოდა.

საგანგებო კომისიის აღწერის შემდეგ, სემინარიის ქონება გადაეცა სასულიერო სასწავლებელს. კომისიას თავმჯდომარეობდა ალექსანდრე როჟდესტვენსკი. წევრები იყვნენ მასწავლებლები: მ. ჩოგოვაძე, ვ. კასაბიევი; მღვდლები ი. აბაშიძე და ტ. კაპანაძე.

თანხა, რომელსაც იმ დროისათვის სემინარია ფლობდა, სულ 512 მანეთი და 400 მანეთის საბანკო ბილეთი იყო. სასწავლებელს ჰქონდა ინვენტარი და შესანიშნავი ბიბლიოთეკა. მთელი ეს ქონება სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველმა ჩაიბარა.

ქუთაისის სასულიერო სემინარია დაიხურა, მაგრამ ყველა მოსწავლე ხომ არ იყო „დამნაშავე“? ასეთი მოსწავლეები სხვადასხვა სემინარიებში გადააგზავნეს: 5 – თბილისში, 35 – სტავროპოლში, 16 – ალექსანდროვსკში, ნაწილი – ასტრახანში, ხოლო 58 კი დარჩა განაწილების გარეშე. ფაქტობრივად, ისინი უდანაშაულოდ გაირიცხნენ სემინარიიდან. არსებობის ათი წლის განმავლობაში სასულიერო სემინარიაში მრავალი პედაგოგი მოღვაწეობდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სემინარიის პირველი რექტორი და მასწავლებელი იყო დიმიტრი სპეროვსკი. იგი პირველად 1894 წლის 28 აგვისტოს გადმოიყვანეს ინსპექტორად ქუთაისის სასულიერო სემინარიაში ნოვგოროდის სასულიერო სემინარიიდან. 1895 წლის 3 მარტს სემინარიის რექტორად დაინიშნა და ამ თანამდებობაზე იყო 1897 წლის 13 იანვრამდე. რუსული სიტყვიერების მასწავლებლად, 1894 წლის სექტემბერში, გადმოიყვანეს ხერსონის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ალექსანდრე როჟდესტვენსკი. ქართული ენისა და მათემატიკის მასწავლებლად დაინიშნა მელიტონ კელენჯერიძე. მან 1894 წელს დაასრულა კიევის სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. იგი 1894 წლის 4 ნოემბერს დაინიშნა ქართული ენის მასწავლებლად; მასვე შეუთავსეს მათემატიკის მასწავლებლობაც.

ქართული საეკლესიო გალობის მასწავლებლად გადმოიყვანეს რაჟდენ ხუნდაძე. სლავური საეკლესიო გალობის მასწავლებლად დაინიშნა კორნელი მაღრაძე.

გამგეობაში, გარდა რექტორისა და ინსპექტორისა, სასულიერო წრიდან იოსებ ჭეიშვილი და ნესტორ ყუბანეიშვილიც დაუმატეს. სხვადასხვა თანამდებობებზე მოღვაწეობდნენ – ა. ვერბიცკი, ა. გრებენსკი, ვ. ტრელინი, ა. ნევადევი, ა. ალფეევი და ვ. ვოსკრესენსკი. ასეთი იყო სემინარიის გახსნის პირველ წლებში პედაგოგთა შემადგენლობა. მაგრამ დრო გადიოდა, სემინარია თანდათან ივსებოდა, ყალიბდებოდა მოსწავლეთა ახალი ჯგუფები. იცვლებოდა პედაგოგიური კოლექტივიც.

დიმიტრი სპეროვსკის შემდეგ აქ დირექტორად დაინიშნა ბენიამინ ბორნუკოვი. იგი სასულიერო სემინარიას ხელმძღვანელობდა 1897-1902 წლებში. შემდეგ მისი ადგილი (1904 წლამდე) დაიკავა სილიბისტრო ბრატანოვსკიმ, ხოლო 1904 წლის 9 აპრილიდან ამავე წლის 15 ივნისამდე, ე. ი. სემინარიის დახურვამდე – ალექსანდრე როჟდესტვენსკიმ.

სასწავლებლის ინსპექტორი იყო დიმიტრი აბაშიძე. მან 1886 წელს დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. იმავე წლიდან საღვთო წერილს ასწავლიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. შემდეგ მოღვაწეობდა ქუთაისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად და ლიტურგიის მასწავლებლად. ინსპექტორის თანამდებობაზე იგი შეცვალა ნიკოლოზ არხანგელსკიმ. იგი იყო ყაზანის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, ღვთისმეტყველების კანდიდატი. 1897 წელს მაგისტრის ხარისხი დაიცვა.

...სემინარიის მკურნალად მუშაობდა ექიმი მიხეილ ძნელაძე. ნაყოფიერ მეცნიერულ შრომას განაგრძობდა მელიტონ კელენჯერიძე, რომელიც რამდენიმე წიგნის ავტორი იყო, მათ შორის სახელმძღვანელოების.

სემინარიაში პედაგოგიურ-მეცნიერული მუშაობის წარმართვისათვის რამდენიმე კათედრა არსებობდა. აქ უმეტესწილად ირჩეოდა სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების საკითხები.

სასულიერო სემინარიის ერთ-ერთ მთავარ მიზანს პედაგოგიური კადრების მომზადება წარმოადგენდა. ამისათვის აუცილებელი იყო გახსნილიყო სანიმუშო საბაზო სკოლა, სადაც პედაგოგიურ პრაქტიკაში დახელოვნდებოდნენ სემინარიელები. 1898 წლის 11 აგვისტოს სემინარიის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა სინოდის წინაშე. სინოდმა ამ საქმისათვის გამოჰყო 1023 მანეთი და 87 კაპიკის რაოდენობის თანხა.

1898 წელს გაიხსნა სანიმუშო საბაზო სკოლა, რომელიც მოთავსებული იყო კერძო დაქირავებულ სახლში. ამ სკოლის ხელმძღვანელად დაინიშნა ვ. კასაბიევი, ხოლო მაწავლებლებად – ირაკლი ბაკურაძე, არჩილ გორგაძე და სერაფიონ სოხაძე.

სკოლაში პრაქტიკას გადიოდნენ IV, V და VI კლასის მოსწავლეები. პედაგოგიურ პრაქტიკას, სემინარიელებთან ერთად, სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულნიც ეუფლებოდნენ. მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად საჭირო იყო საგნობრივი გამოცდის ჩაბარება და სამი საცდელი გაკვეთილის გადაცემაც.

მოსწავლეს ექვსი წელი უნდა ესწავლა სემინარიაში, აუტანელ ჩაგვრა-შეურაცხყოფაში, მშობლიური ენის დევნასა თუ ათასგვარ შევიწროვებაში. თუ სემინარიელი საეკლესიო ხარჯით გაიზრდებოდა, ვალდებული იყო წასულიყო მღვდლად ან გადაეხადა ის თანხა, რომელიც მის სწავლაზე დაიხარჯა.

ქუთაისის სასულიერო სემინარიაში აღიზარდა მრავალი ახალგაზრდა, რომლებიც შემდგომში იყვნენ ქალაქისა და ქვეყნის საუკეთესო ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელნი. მათ შორის იყო იოსებ ყიფშიძე, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი.

1914 წლის აგვისტოში ეპისკოპოსმა გიორგიმ განმეორებით მოითხოვა ქუთაისში სასულიერო სემინარიის აღდგენა. უწმინდესი სინოდი უარს შესაფერისი შენობის უქონლობით ხსნიდა. „ხარაზოვის ბაღში“ გამოყოფილი ადგილი დაიწუნეს. ამის შემდეგ ეპისკოპოსმა გიორგიმ ქალაქის ხელმძღვანელობას სემინარიის შენობის ასაგებად ნაკვეთის დათმობა თხოვა „საღორიის“ აგარაკზე.

ქალაქის თვითმმართველობამ 6 დესეტინა მიწა გამოყო სასწავლებლისათვის შენობის ასაგებად. მიწის ეს ნაკვეთი სამჯერ უფრო ძვირი ღირდა, ვიდრე „ხარაზოვის ბაღი“. მაგრამ გაითვალისწინეს, რომ სემინარიის გახსნა მთელი დასავლეთ საქართველოსათვის სასარგებლო მოვლენა იქნებოდა და დასახელებული საეზოვე იმერეთის ეპარქიას უფასოდ დაუთმეს...

თითქმის 12 წლის „შესვენების“ შემდეგ, 1916 წელს, ყოვლადსამღვდელო მიტროპოლიტმა პიტირიმმა ქუთაისის სასულიერო სემინარიის განახლება სცადა. სარწმუნო ცნობა „განახლებული“ სემინარიის მუშაობის შესახებ არც პერიოდულ პრესაში აღმოჩნდა და არც ისტორიულ არქივში. მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი საბუთი მაინც მოიძებნა, რომელიც გვაუწყებს, რომ *„ქალაქ ქუთაისში, სასულიერო სასწავლებლის შენობაში, თანახმად 1915 წლის 9 დეკემბრის უწმინდესი სინოდის ბრძანებულებისა (№16844), უკვე მოთავსებულია სემინარიის სამი კლასი. სწავლა დაიწყო 1916 წლის 16 ნოემბრიდან. სამივე კლასში მოსწავლეთა რაოდენობა აღემატება სრულ კომპლექტს. ბევრია მიღებული შტატების ზევითაც“.*

აქედან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ გარკვეული ხნის მანძილზე კვლავ ფუნქციონირებდა ქუთაისის სასულიერო სემინარია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს საბუთი ვერ იარსებებდა. მისი განახლების ინიციატორად ეპისკოპოსი გიორგი უნდა მივიჩნიოთ.

გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი ცნობა: *„სემინარია აკურთხა და მის პირველ მეცადინეობას დაესწრო საქართველოს ეგზარქოსი მიტროპოლიტი პლატონი. მეცადინეობა მიმდინარეობდა სასულიერო სასწავლებლის შენობაში. კურთხევის დროს წარმოთქმულ სიტყვაში ეგზარქოსმა განაცხადა, რომ სწავლება ჩატარდება რუსულ ენაზეო. მისი აზრით, ეს უკეთესიც იყო და აუცილებლობასაც წარმოადგენდა, ვინაიდან მეცნიერების განვითარება ამ ენაზე წარმოებსო, რუსული სახელმწიფო ენაა, თანაც, სემინარიის მსმენელები მისი მეშვეობით ცხოვრების ფერხულში უფრო ჩაებმებიანო. ამასთან დაკავშირებით „სამშობლოს“ კორესპოდენტი გულდაწყვეტილი შენიშნავდა: „ადგილობრივ ენას მეორე ხარისხი მიეკუთვნაო“.*

სემინარიის დროებით მმართველად დაინიშნა ხოლმსკი, რომელიც ქართული ენის უცოდინრობით გამოირჩეოდა. პირველი მსოფლიო ომის ბოლო წლებში სემინარიაში ქართულ ენას მიენიჭა სხვა საგნებთან თანასწორი უფლება. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვუკოლ ბერიძე დაინიშნა, ხოლო ქართული საეკლესიო გალობის მასწავლებლად – ცნობილი შემგროვებელი და ლოტბარი რაჟდენ ხუროძე“.

ზეპირგადმოცემათა თანახმად, სათანადო საბუთები განახლებული სემინარიის შესახებ, ხანძრის დროს განადგურებულა. ეს ხანძარი თვითონ სასულიერო სემინარიაში გაჩნდა თუ ისტორიულ არქივში, ამის დაზუსტება ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

მიუხედავად დიდი მცდელობისა, ქუთაისში სასულიერო სემინარიის არსებობას დიდი დღე მაინც არ ეწერა. ერთ წელიწადში, 1917 წელს, სასულიერო სემინარიამ არსებობა საბოლოოდ შეწყვიტა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასულიერო განათლებისა და სწავლა-აღზრდის ისტორია ქართული სკოლის ისტორიის ფენომენია. იგი მისი ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

ამგვარად, მრავალი ხელისშემშლელი ფაქტორის მიუხედავად, ქუთაისის სასულიერო სემინარიამ (1894-1904, 1916-1917) მაინც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქალაქის და, საერთოდ, დასავლეთ საქართველოს სულიერ და კულტურულ ცხოვრებაში.

საუბრები ბიბლიაზე

პირმშოება და კურთხევა იაკობისა და ესავისა

რუბრიკას უძღვება
მაკა თაქთაქიშვილი

რებეკას, ისააკის მეუღლეს კარგა ხანს შვილი არ უჩნდებოდა, მაგრამ ისააკის განუწყვეტელმა ლოცვა-ვედრებამ სძლია ბუნებას და მეორმოცე წელს, მას შემდეგ, რაც ისააკმა პირველად შეიყვანა იგი თავის კარავში, რებეკა დაფეხმძიმდა და ტყუპების მოლოდინში დედობის პირველ შეგრძნებას ეზიარა. გარდა დედობრივი ინსტიქტებისა სარას მსგავსად, რებეკასაც მიჰმადლა უფალმა წინასწარ ჭვრეტის უნარი და შობამდე ამცნო მას: „...ორი ხალხია შენს მუცელში, ორი ტომი გამოვა შენი საშოდან. ერთი ტომი მეორეზე ძლიერი იქნება. უფროსი უმცროსს დაემორჩილება“ (დაბ. 25:23). უფროსი პირმშო, რომელიც წინასწარმეტყველებისამებრ უმცროსს უნდა დამორჩილებოდა, ესავი იყო: „სულ მთლად წითელი და თითქოს ტყავ-ფუჩით შემოსილი“ (დაბ.25:25). ესავი პირველი დაიბადა, შესაბამისად, პირმშოებაც მას ეკუთვნოდა. „მერე გამოვიდა მისი ძმა, ხელი ესავის ქუსლზე ჰქონდა მოჭიდებული; ...სახელად იაკობი“ (დაბ. 25:26). როგორც იოანე ოქროპირი აღნიშნავს, ეს იყო ნიშანი იმისა, რომ ერთი შეხედვით სუსტი, ძლიერს დაამარცხებს.

მღვდელმოწამე ირინეოს ლიონიელის კომენტარში ვკითხულობთ: „ვისაც ძალუძს ჩასწვდეს იაკობის დაბადების თავისებურებას, ადვილად მიხვდება, რომ იაკობის მოქმედებაში ღრმა შინაარსი იგულისხმება. იაკობი ცხოვრების პირველივე წუთიდან უფლის ნებას ასრულებს. ის ესავის ქუსლს ჩასჭიდებია, მაგრამ იაკობი ესავს არ მიჰყვება. იაკობი თავისი ქმედებით ესავის მოძრაობას აფერხებს. ამიტომ დაერქვა მას სახელად იაკობი, რაც შინაარსით დამყოვნებელს, ფეხების შემბოჭველს და არა ჩაჭიდებულს ან მიმყოლს ნიშნავს“ («Сочинения», изд. П. преображенского, 1864 г).

უფლის მიერ დაწესებული პირმშოებისა და სულით კურთხევის კანონის მიხედვით, პირმშო უფალს უნდა მიეძღვნას. დაწერილია: „საშოს გამხსნელი ყოველი წული უფლის წმიდად იწოდება“ (ლუკ. 2:23). აგრეთვე, მამის არყოფნის დროს პირმშო ოჯახის უფროსის ფუნქციებს ასრულებს (დაბ. 49:3) და, ამავე დროს, პირმშოს ქონებიდან ორმაგი წილი მიეთვლება (2 რჯულ. 21:17);

ისააკის ტყუპების – იაკობისა და ესავის ცხოვრებაში პირმშოების კანონის უგულებელყოფა მონოთეისტ ერსა და წარმართ ხალხს შორის წყალგამყოფი გახდა. იაკობის შთამომავლები უფლის მოსმენას სწავლობდნენ და ზეციური კანონებით საკუთარ ცოდვებს ებრძოდნენ, ესავიანნი კი უარს ამბობდნენ ღვთის მადლზე და გზას წარმართობის უფსკრულისაკენ მიიკვლევდნენ.

იაკობი და ესავი კანონიერი, ცხებული შთამომავლები იყვნენ აბრაამისა, მაგრამ აბრაამის შვილიშვილობამ არ უშველა ესავს. წარმომავლობა ან სხვა რაიმე პრივილეგირებული მდგომარეობა ვერ გადაარჩენს უფლის მიერ დაწესებული კანონების უგულებელმყოფელს. ის უცილობლად ეშმაკეული ძალების მსხვერპლი გახდება.

ერთხელ ნადირობიდან დაბრუნებულმა, მოშიებულმა ესავმა დაინახა, რომ იაკობმა მშვენიერი შეჭამანდი მოამზადა, მშიერი ესავი შეჭამანდის სურნელმა კიდევ უფრო გაახელა და მოთხოვა იგი იაკობს. „უთხრა იაკობმა: ახლავე მომყიდე შენი პირმშოება. თქვა ესავმა: სიკვდილის პირას ვარ და რაღად მინდა პირმშოება. უთხრა იაკობმა: ახლავე შემომფიცე. შეჰფიცა და მიჰყიდა იაკობს პირმშოება. მაშინ მისცა იაკობმა ესავს პური და ცერცვის შეჭამადი. ჭამა, სვა, ადგა და წავიდა. არად ჩააგდო ესავმა პირმშოება“ (დაბ. 25:31-34). ნაყროვანებისა და ამპარტავნების ცოდვაში ჩაფლული, წარმართობის გზაზე დამდგარი ადამიანი ღვთისაგან ბოძებულ მადლს არად აგდებს და ერთ ულუფას ანაცვალებს. ასეთ ქმედებას კანონზომიერი გაგრძელება მოსდევს. მოციქული პავლე გვაფრთხილებს: „არ იყოს თქვენს შორის მემრუშე ანდა ბილწი, როგორც ესავი, რომელმაც საჭმლის წილ გაყიდა პირმშოება თვისი“ (ებრ. 12:16). კირილე ალექსანდრიელის განმარტებით, ესავს უყვარს ველად ყოფნა, ნადირობა, ის ხორციელი ვნებებით არის შეპყრობილი და საკუთარ აღმატებულ მიწიერ უპირატესობებს: სისწრაფეს, ძალას, მოხერხებულობას, ბრძოლისუნარიანობას ეტრფის. სხვა არად მიაჩნია. ესავი ვერ ამჩნევს მთავარს. იგი ყველაზე ფასეულს არარაობაზე ცვლის. მისგან განსხვავებით, იაკობი ხარბად ეძებს საუკეთესოს და იკვლევს, რით შეიძლება მოიპოვოს სრული პატივი და დიდება. მაშინ, როდესაც ესავი ღვთიურ სიკეთეს საკუთარ სტომაქს ანაცვალებს, იაკობი მისგან პირმშოებას ყიდულობს. ესავს პირმშოება არაფრად უღირს, ამიტომ იაკობს ესავისაგან ეს დიდი პატივი უბრალოდ ღვთის ნებით ეძლევა.

თუ პირმშოება პირველი შვილის ბუნებრივი პრივილეგიაა, სულით კურთხევისათვის მამა შვილს თავად გამოარჩევს. ბიბლიურად კურთხევა ღმერთის მადლის გადმოსვლას ნიშნავს. ზნეობით გამორჩეულ ადამიანზე მადლი ყოველგვარი განსაკუთრებული დამსახურების გარეშე, უშუალოდ ღმერთისაგან ან ღვთის ნებით, ადამიანისაგან გადმოდის.

ისააკის რჩეული ესავი იყო. უშუალოდ ესავის კურთხევის წინ წმიდა წერილი, მისი კიდევ ერთი დაცემულობის ამბავს გვამცნობს: „ორმოცი წლისა იყო ესავი, როცა მოიყვანა ცოლად ივდითი, ბეერ ხეთელის ასული, და ბასმათი, ელონ ხეთელის ასული“ (დაბ. 26:34,35). იოანე ოქროპირი წერს: ესავმა მთლად დაკარგა უფლის შეგრძნება. ის უკვე საკუთარ თავს წინაპრების ნაწილადაც კი აღარ მიიჩნევს. მისი მოქმედება ეწინააღმდეგება პატრიარქ აბრაამის ანდერძს, რომლის მიხედვითაც არ შეიძლება ამ მოდგმის ქალების ცოლად მოყვანა. ამიტომაა ნათქვამი წმიდა წერილში, რომ ამ ქალებმა სული შეუწუხეს ისააკსა და რებეკას (დაბ. 26:35).

სიბერის გამო ისააკი უსინათლო იყო და როდესაც დრო მოუვიდა, მოიხმო ესავი და დაავალა კურთხევისათვის მომზადებულიყო, „რათა გაკურთხოს სულმან ჩემმან ვიდრე სიკვდილამდე ჩემდა“ (დაბ. 27:4). იაკობი და ესავი თავიანთი ცხოვრების წესის, სულის სიმდიდრისა და შინაარსის მიხედვით დაპირისპირებულები იყვნენ. ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ რებეკა და ისააკიც. ისააკს ესავი ჰყავდა რჩეულად და შემთხვევით არ არის ნათქვამი, რომ დაბერდა ისააკი და ველარ ხედავდა (ისააკი ესავის ნამდვილ სახესაც ვერ ხედავდა), ხოლო რებეკას რჩეული იაკობი იყო. მამის არჩევანის საფუძველი ესავის ნანადირევისადმი სიყვარული იყო, ხოლო დედამ იცოდა, რომ უფალმა მის საშოშივე უმცროსი ირჩია და თავადაც უნდა შეეწყო ხელი ამ წინასწარმეტყველების აღსრულებისთვის. უფლის ნებით, რებეკამ ისე მოაწყო, რომ უსინათლო ისააკმა ესავის ნაცვლად იაკობი აკურთხა: „მოგცეს ღმერთმა ცვარი ცისა, სინოყივრე მიწისა, უხვი ხორბალი და ღვინო. გემსახურონ ხალხები და თაყვანი-გცენ ტომებმა! გახდი ბატონი შენი ძმებისა და თაყვანი გცენ დედაშენის შვილებმა. წყეულიმც იყოს მწყევარი შენი, კურთხეულ იყოს მაკურთხეველი შენი!“ (დაბ. 27:28,29).

ნადირობიდან დაბრუნებული ესავის შესახებ მოციქული პავლე ბრძანებს: „როცა ისურვა დაემკვიდრებინა კურთხევა, დაგმობილ იქნა; ვეღარაფერი გააწყო სინანულით, თუმცაღა ცრემლით ითხოვდა მიტევებას“ (ებრ. 12:17). ესავი გოდებითა და ხმითა დიდითა ტირილით იხვეწებოდა, მამას მისთვის მოტყუებით წართმეული კურთხევა დაებრუნებინა. მაგრამ კურთხევის რიტუალი შეუქცევადი აღმოჩნდა, ამიტომ ისააკმა ისე აკურთხა ესავი, რომ იაკობის კურთხევას არაფერი მოჰკლებია: „აჰა, ნოყიერი მიწა გექმნეს სამკვიდრებლად, ცის ცვარი – კურთხევად. შენმა მახვილმა გარჩინოს, ძმას ემორჩილებოდე; დრო მოვა და ქედიდან გადაიგდებ უღელს“ (დაბ 27:39-40). ამრიგად, უფლის ნებით და ისააკის კურთხევით, ესავიანნი ყოველთვის დაყოვნებულნი და შებოჭილნი იქნებიან.

მაცხოვრის მობრძანების შემდეგ, ყველა ადამიანს, ოჯახს, გვარსა და ერს უფალი მფარველობს, „ქრისტემ გამოგვისყიდა ჩვენ სჯულის წყევლისაგან და თვითონ დაიწყევლა ჩვენთვის“ (გალ. 3:13). მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ესავის შთამომავლობა გამოსყიდულია მაცხოვრის მიერ, დღესაც მრავლად არის ხალხი, რომელთა წინაშეც დგას კითხვა: იცხოვრონ უღმერთოდ, მხოლოდ მათი მოწონებული ყოველდღიური ხრიკებითა და ცოდვით აღსავსე ცხოვრებით, ანუ გახდნენ ესავიანნი თუ იღვაწონ სასუფევლის მოსაპოვებლად?

ესავიანებს, რომელთაც მიწიერი ტკბობა აურჩევიათ, დღესაც სურთ იაკობის მსგავსად ნეტარება შეიგრძნონ – მაგრამ არ გააჩნიათ იაკობის კურთხევა; ესავიანნი მდიდრული ცხოვრების, თავდავიწყებული მხიარული ყოფის, გრანდიოზული სანახაობების მოყვარულები არიან, მაგრამ მათი განცხრომა წუთიერია, რადგან ყველაფერი უსამართლობითა და ყაჩაღობითა აქვთ მოპოვებული; ესავიანებს სურთ სიყვარული სუფევდეს მათ გარშემო, მაგრამ ხელთ მახვილი უპყრიათ და იციან, რომ დაწერილია: „...ყველა, ვინც აიღებს მახვილს, მახვილითვე დაიღუპება“ (მათ. 26:52); ესავიანებს სურთ დაივიწყონ საკუთარ ქედზე შემოდგმული უღელი, მაგრამ უფლისაკენ შემობრუნების ნაცვლად ცდილობენ სხვა დაიმონონ და უღელქვეშ მოიქციონ – ისინი დროებით ახერხებენ ამას, მაგრამ რადგან დესპოტები არიან, მუდმივი შიშის განცდა აქვთ და ვერაფრით აღწევენ ბედნიერებას; ესავიანნი უზარმაზარ ზესახელმწიფოებს აშენებენ, იმისათვის რათა მრავალი ხალხის საყვარელი ბატონები გახდნენ აურაცხელ სიმდიდრეს აგროვებენ მაგრამ მიღწეულით ვერასოდეს ტკბებიან, რადგან მათში არ არის სიმშვიდე და სიკეთე, ისინი უღმერთონი არიან; ესავიანებს, დროებით სიამოვნებაზე უარის თქმის უნარი არ აქვთ, ამიტომ მათ სხვისი კურთხევა არ შეუძლიათ. ისევე როგორც სატანა, ისინიც სინამდვილეს ჩასჭიდებიან, მათი სამშვინველი მუდმივ შფოთვაშია, ისინი გრძნობენ, რომ უკვდავებაში ვერ დამკვიდრდებიან და ცათა სასუფეველს ვერასდროს ეზიარებიან. ასეთია დაყოვნება, შებოჭილობა და ტრაგედია ესავური უღმერთოებისა.

ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **კოკა სეფერთელაძე** და სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი **მაია მიმინოშვილი** თბილისის 23-ე საჯარო სკოლაში პრეტესტის მიმდინარეობას გაეცნენ.

2-დან 9 აპრილის ჩათვლით, ყოველდღე, 14:00 საათიდან 19:00 საათამდე, ყველა მოსწავლეს შესაძლებლობა აქვს ნებისმიერი, ინტერნეტთან მიერთებული კომპიუტერიდან მონაწილეობა მიიღოს პრეტესტში, რომლის მიზანია გამოსაშვები გამოცდების კომპიუტერული სისტემის გამოცდა. პრეტესტი საშუალებას აძლევს მონაწილეებს, გაეცნონ თავად სისტემას და ტესტური დავალებების ნიმუშებს, რომელთა მსგავსს გამოცდაზე მიიღებენ.

საგამოცდო პროცესისგან განსხვავებით, საცდელი რეჟიმისას ე.წ. „გაჩერების წესი“ მოხსნილი იქნება, რათა მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცეთ, ყველა ტიპის დავალებებს გაეცნონ და უპასუხონ.

მონაწილე ეკრანზე დაინახავს, სწორად უპასუხა თუ არა დავალებას, თუმცა, ის არ შეფასდება, ასევე, პასუხის არასწორად გაცემისას ეკრანზე არ გამოჩნდება სწორი პასუხი.

ყველა საგამოცდო საგანში საკუთარი თავის გამოცდის შესაძლებლობა მოსაწავლეებს 9 აპრილის 19:00 საათამდე ექნებათ.

სისტემა გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge) განთავსდება და გარდა მეთორმეტეკლასელებისა, ნიმუშების გაცნობა ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლება.

* * *

საგანმანათლებლო პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან“ ერთად ფარგლებში, ინგლისურენოვან მოხალისე მასწავლებელთა მორიგი ჯგუფი ჩამოვიდა. კვალიფიციურ პედაგოგთა ამ ნაკადში დიდი ნაწილი ავსტრალიიდანაა, მათ შორის არიან მოხალისე მასწავლებლები ამერიკიდან, ინგლისიდან, კანადიდან.

ტრენინგის გავლის შემდეგ პედაგოგების ნაწილი რაჭის საჯარო სკოლებში გადანაწილდება, ეს იქნება რაჭის რაიონის საჯარო სკოლებში ინგლისურენოვან მოხალისე მასწავლებელთა შესვლის პირველი პრეცედენტი. ამ სკოლების მასწავლებლები და მოსწავლეები პროექტს დადებითად აფასებენ და გარკვეული მოლოდინი აქვთ იმისა, რომ პროგრამა ამ რაიონშიც წარმატებული იქნება.

ახლად ჩამოსული უცხოელი პედაგოგების ნაწილი შიდა ქართლისა და თბილისის საჯარო სკოლებში, ადგილობრივ მასწავლებლებთან ერთად, სასწავლო პროცესში ჩაერთვება.

„ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ...“

2 აპრილს, აკაკი წერეთლის საიუბილეოდ შექმნილი პროექტის II ეტაპი, თელავის მოსწავლეთა სახლის (დირექტორი – **თამარ დევდარიანი**) ბაზაზე, თელაველ და თბილისელ მოზარდთა ჩართულობით განხორციელდა.

პროექტის ავტორმა – თბილისის 24-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა **თამარ ბარისაშვილმა**, აკაკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკეთ შესწავლა-შემეცნების მიზნით, ინიციატივით მიმართა თელავის მოსწავლეთა სახლის ხელმძღვანელობას, რომ თბილისელ და თელაველ მოზარდებს ფეხდაფეხ დაევლოთ, აკაკის მოგზაურობის შესატყვისად, თელავი და თელავის შემოგარენი, მარშრუტით: „ღვთაების“ ეკლესია – ისტორიული ჭადარი – მეფეთა სასახლის ტერიტორია – თელავის თეატრი– იმ მიზნით, რომ მოზარდებს ერთი დღის განმავლობაში ეფიქრათ აკაკის ფენომენზე და იმაზე, თუ რას ნიშნავს ჭეშმარიტი მამულიშვილობა.

თბილისის 24-ე საჯარო სკოლის IX^ფ კლასის მოსწავლეებს (დამრიგებელი – **ლამარა ტაბატაძე**) და თელავის მოსწავლეთა სახლის აღსაზრდელებს მართლაც ბევრი აღმოაჩნდათ ერთმანეთისთვის გასაზიარებელი:

აკაკი – რუსთაველის მოციქული ქიზიყში; 1897 წელს აკაკის გამოცემული ჟურნალი; 1903 წელს აკაკი ქართულ თეატრს ხელმძღვანელობს; ვასილ ამაშუკელის ობიექტივის გმირი; ქრისტიანობის ჭეშმარიტი მსახური...

თელავის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: **ნინო მოსიაშვილმა** და **მერი სუხიაშვილმა** თვალსაჩინო გიდობა გაუწიეს თბილისელთ, თელავის უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, ისტორიკოსმა **ალექსანდრე მოსიაშვილმა** გულითადად უმასპინძლა მათ.

მარიამ გოგბაიძემ, ავტორმა წიგნისა „აკაკი წერეთლის მოგზაურობა კახეთში“ კახური სიალალითა და გულწრფელობით აღნიშნა, ჩვენ რატომ არ მოვიფიქრეთ, თუნდაც მხოლოდ კახეთის მასშტაბით, აკაკის საიუბილეოდ შეგვექმნა პროექტი და მოგვევლო, მოგველოცა მის მიერ განვლილი გზაო.

შებინდებისას დავტოვეთ თელავი, დილიდანვე წვიმდა და არც საღამო ხანს გადაუღია. უამინდობამ აკაკის სიტყვები გამახსენა:

„კახეთი შემოვიარე,
ალაზნის პირი სრულადა,
ხალხი მოყვრულად დამიხვდა
და მინა-წყალი მტრულადა“.

როგორც ჩანს, კახეთში აკაკის წვიმა დაებედა. ჯერი რაჭა-ლეჩხუმზეა, სწორედ იქ განხორციელდება მესამე ეტაპი და დასრულდება პროექტი „ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ...“.

მარინა ბენიძე

„ლამაზად შვილის გამზრდელი – დედა მიცვნია ღმერთადა“

მშვენიერია გაზაფხული საქართველოში, მაგრამ ის განსაკუთრებულია ჩვენს მშობლიურ აფხაზეთში. არსად ისე ლამაზად არ ყვავიან მაგნოლიები და ისე უხვად არ ანათებს მზე ზეცის ლურჯ კაბადონზე, როგორც ჩვენთან. არსად არის ზღვა ისეთი წმინდა და მრავალფერი, უთვალავი თვალმარგალიტის კენჭებით მოკირწყლული, როგორც ჩვენთან.

18 გაზაფხული გასულა უშენოდ, ჩემო აფხაზეთო... ასეთი მონატრების სურვილით დაიწყეს შემოქმედებითი საღამო აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის – „მომავლის ხმის“ წევრებმა, რომელიც ქალებს, მათთვის ყველაზე საყვარელ ადამიანებს – დედებსა და ბებიებს მიუძღვნეს.

მოწვეულ ქალბატონებს გაზაფხული მიულოცეს: აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ **გია გვაზავამ**, უმაღლესი საბჭოს წევრმა **რაისა ქარაიამ**, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის მოადგილემ **ალექსანდრე აპლაკოვმა**, მრავალშვილიანმა აფხაზმა დედამ **მაია აჩბამ**, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორმა, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ლიანა ჯიქიამ**, კომპოზიტორმა და მომღერალმა **ია მაისაიამ** სიმღერით „დაბრუნებამდის“, აფხაზეთელმა წარმატებულმა ბიზნესმენმა, ქალბატონმა **ნონა ბენდელიანმა** საჩუქრები გადასცა მოწვეულ სტუმრებს. აფხაზეთიდან დევნილ პოეტებს – **აზა ბასლანძე-აკობიას** და **მაია მიქაიას** დედისა და ქალების დღე მისივე ლექსებით მიულოცეს **ანა ტაბატაძემ**, **მარიამ მუშკუდიანმა, დათო ელერჯიამ** და **ლუკა მაისურაძემ.**

გია გვაზავა: *„ისტორიული სინამდვილიდან გამომდინარე, როდესაც ქვეყანას უჭირდა თუ ულხინდა, ქალი მუდამ იდგა მისი სიმშვიდისა და სიძლიერის სადარაჯოზე. ახლა, როდესაც მტერმა უდიდესი ზიანი მოგვიტანა, მათ შეძლეს თავიანთი ოჯახების დაცვა და ცხოვრების გაგრძელება. ამის დასტურია აფხაზეთიდან დევნილი ქალების აქტიური და საზოგადოებრივი საქმიანობა, ყველაფრის თავიდან დაწყება, ოჯახის ფეხზე დაყენება, საზოგადოებაში ღირსეულად დამკვიდრება და ხელოვნების, მეცნიერების, კულტურის სფეროში საკუთარი სიტყვის თქმა, წარმატებული შვილების აღზრდა. ჩვენს დღევანდელ შეხვედრაზე აფხაზეთის ქალთა მცირე, მაგრამ საუკეთესო სპექტრია წარმოდგენილი. ბედნიერებასა და აფხაზეთში მალე დაბრუნებას ვუსურვებ მათ“.*

მედიკო კვარაცხელია, სასკოლო სამმართველოს უფროსი: *„გაზაფხული მუდამ ქალთან, დედასთან ასოცირდება. ჩვენი აღსაზრდელები განსაკუთრებული სიყვარულით ემზადებიან, რომ თავიანთი შემოქმედებით გაახარონ ეს ადამიანები. სწავლობენ ლექსებს, სიმღერებს, წერენ, ხატავენ, ქმნიან ლამაზ აქსესუარებს, რომლებსაც სიხარულით ჩუქნიან დედებს. ჩვენ გვსიამოვნებს ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების ყურადღება და დაფასება. სიამოვნებით ვეხმარებით მათ შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებაში“.*

შეხვედრას უძღვებოდა აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის პრეზიდენტი **ანდრო თორია**: *„მართალია, ეს ღონისძიება დედებს ეძღვნება, მაგრამ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ჩვენი მამები – სამშობლოს ერთიანობისათვის დაღუპული გმირები, რომლებმაც სიცოცხლე დათმეს სიყვარულისთვის, მშვიდობისათვის, სიკეთისათვის, სამშობლოს ძლიერებისათვის და ამით დაიმკვიდრეს უკვდავება. ჩვენ გვჯერა, რომ მიზანი, რომლისთვისაც იბრძოდნენ ჩვენი ვაჟკაცები, ასრულდება. საქართველო გამთლიანდება და ღირსეულად გავაგრძელებთ მამების გზას, გზას, რომელიც ტაძრამდე მიგვიყვანს“.*

სალომე თავზარაშვილი: *„გაზაფხული და დედა ახალი სიცოცხლის შემოქმედები არიან. ჩვენ ორივე ძალიან გვიყვარს. გვინდა კიდევ ერთხელ მოვეფეროთ, ჯეროვნად დავუფასოთ მამულის წინაშე გაწეული ამაგი და მივულოცოთ ეს მშვენიერი დღესასწაული – ქალთა დღე“.*

ნინო ვეკუა: *„გვსურს დიდი სიყვარული და სითბო ვაჩუქოთ ძვირფას ქალბატონებს. სიყვარული ხომ ალამაზებს ადამიანებს, აკეთილშობილებს მათ ცხოვრებას, ბადებს უდიდეს სიხარულს და სილაღეს“.*

გაზაფხულზე, სამშობლოზე, დედაზე სიმღერები და ცეკვები შეასრულეს აფხაზეთის №2 ხელოვნების სკოლის აღსაზრდელებმა (დირექტორი – **მანანა ბურბუთაშვილი**) და თანამედროვე ცეკვების გოგონათა ანსამბლმა „გაზაფხული“ (ხელმძღვანელი – **ირინა მიროტაძე**).

წაკითხულ იქნა ქართველი და აფხაზი დედების მიმართვა მსოფლიოს დედებისადმი. „მომავლის ხმის“ წევრებმა მადლობა გადაუხადეს ღონისძიების მხარდაჭერისათვის თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექციას, ბატონ **გრიშა ჩიგოგიძეს** და თავიანთ მეგობარ „პიონერფილმელებს“, რომლებმაც წარმოადგინეს მათ მიერ გადაღებული ფილმები აფხაზეთზე.

ნონა ბერაია
აფხაზეთის განათლებისა
და კულტურის სამინისტროს
სპეციალისტი

სპორტი

მოფარიკავეთა ისტორიული მედალი

16 წლის ქუთაისელმა ხმლით მოფარიკავე **მიხეილ მარდალეიშვილმა** გამორჩეულ წარმატებას მიაღწია – მსოფლიო ჩემპიონატზე ჭაბუკთა შორის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ამ ბიჭის შესახებ ხშირად ვწერდით, რადგან პერიოდულად წარმატებით გამოდიოდა საერთაშორისო შეჯიბრებებში.

მარდალეიშვილის წარმატება სავსებით ლოგიკურია, თუმცა ეს ისტორიული მედალიცაა, რადგან ქართული ფარიკაობისთვის პირველია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ქართველ მოფარიკავეთა ბოლო წარმატება სეულის ოლიმპიადის ჩემპიონ **ვლადიმერ აფციაურს** უკავშირდება. მას შემდეგ ჩვენებს ჯილდოები აღარ ჰქონიათ.

მსოფლიოს ჩემპიონატი იორდანიაში ჩატარდა. მარდალეიშვილმა პირველ წრეში ერაყელი **ალ ფილფ ბასიმი** დაამარცხა – 15:9, მერე ბელარუს **სერგეი კისელს** (15:7), ამერიკელ **ჯეფრი ლოსს** (15:11), გერმანელ **იანიკ ოფერკიხს** (15:11) მოუგო და ნახევარფინალში გავიდა. აქ იტალიელ **ლუკა კურატორისთან** დრამატული ბრძოლა გადაიხადა – თავიდან 1:11 ჩამორჩა, მაგრამ სასწაული ჩაიდინა და ანგარიში გაათანაბრა. მერე წინ გასვლაც შეძლო, მაგრამ საბოლოოდ 13:15 წააგო და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. ცუდია, როცა ასეთ ბრძოლაში წააგებ, მაგრამ მეორე მხრივ, როცა საქართველოს ამდენი წელიწადი სპორტის ამ სახეობაში ჯილდო არ ჰქონია, ნებისმიერი სინჯის მედალი ძალიან კარგი შედეგია. თან ისიც გავითვალისწინოთ, რომ მარდალეიშვილი თავისზე უფროსებს ეპაექრებოდა – ჯერ კიდევ ჭაბუკთა ნაკრების წევრია და მედლის მოპოვების შემდეგ, იორდანიაში, ამ ასაკშიც გამოვიდა.

ჭაბუკთა და ახალგაზრდების მსოფლიო პირველობა ერთმანეთის პარალელურად ტარდება. მარდალეიშვილის გარდა, იორდანიაში სხვა ქართველებიც ასპარეზობდნენ – **ლუკა ღაღანიძე** ახალგაზრდებში რაპირაში გამოდიოდა, ჭაბუკებში კი ხმლით ფარიკაობაში საქართველოს ღირსებას იცავდნენ: **სანდრო ბაზაძე, ლაშა მიქელაძე, მიხეილ მარდალეიშვილი** და **თათია აფციაური**, რაპირაში კი – **არჩილ უგულავა**. ამჯერად მარდალეიშვილსაც ხელი მოეცარა და ვერც სხვებმა იყოჩაღეს, მაგრამ ღაღანიძეს ურიგოდ არ უასპარეზია – VI ადგილზე გავიდა, რაც ნამდვილად არაა ურიგო შედეგი.

ბოლო წლებში, საქართველოში, სპორტისადმი დამოკიდებულება შეიცვალა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა – აშენდა ახალი ბაზები, გაიზარდა დაფინანსება, შედეგად კი ბევრად მეტი ყურადღება ექცევა მომავალი თაობის აღზრდას. ახლა სულ უფრო ხშირად დადიან უცხოეთში შეკრებებსა და ტურნირებზე. ეს რამდენად მნიშვნელოვანია ახალგაზრდა სპორტსმენების ზრდისთვის, მარდალეიშვილის მაგალითიც ადასტურებს – ბოლო წლებში ინტენსიურად მონაწილეობს შეჯიბრებებში, ამ ჩემპიონატის წინ კი, ნაკრების სხვა წევრებთან ერთად, შეკრება იტალიაში გაიარა. ასეთი ინტენსიური დატვირთვა მის შედეგებსაც დაეტყო. იმედია, ეს ახალგაზრდები რამდენიმე წელიწადში ეროვნულ ნაკრებშიც იტყვიან თავიანთ სიტყვას.

ქართული პროექტით უცხოელებიც დაინტერესდნენ

ამ დღეებში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და კომპანია „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიამ“ ხელშეკრულება გააფორმეს, რომლის თანახმადაც აღნიშნული კომპანია „სკოლბურთის“ ტურნირის გენერალური სპონსორი ხდება. ამისთვის **თემურ ჭყონიამ** 100 000 დოლარი გამოყო.

„სკოლბურთის“ პროგრამა საქართველოს სკოლებში 2006 წელს ამოქმედდა და, თავდაპირველად, მასში 200 სკოლა და 2 000 ბავშვი ჩაება, სადღეისოდ კი, მათი რიცხვი 1 500 სკოლამდე და 17 000 მონაწილემდე გაიზარდა.

ერთი სიტყვით, ძალზე პოპულარული შეჯიბრება გახდა მთელი ქვეყნის მასშტაბით, თუმცა არა მხოლოდ საქართველოში, რადგან პროექტით ფიფა და უეფაც დაინტერესდნენ. ფეხბურთის ფედერაციასა და „კოკა-კოლას“ შორის ზემოაღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებას, ამ უწყებების ხელმძღვანელებთან, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ვლადიმერ ვარძელაშვილთან** ერთად, უეფას პირველი ვიცე-პრეზიდენტი **სენეშ ერზიკიც** ესწრებოდა. საქართველოში მისი ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზანი ამ პროექტის ახლოდან გაცნობა იყო, რადგან მისით უკვე დაინტერესდა ფიფა-უეფა და სამომავლოდ, „ჰეთ თრიკის“ ან „გრასრუტის“ პროგრამის ფარგლებში, ფინანსურად ან ეკიპირებით პროექტის დახმარებასაც გეგმავს. უახლოეს ხანებში ერზიკი ჰოლანდიაში სემინარს ჩაატარებს, სადაც ქართულ პროექტს მსოფლიოს 54 ქვეყნის წარმომადგენელს გააცნობს.

„სკოლბურთის“ გათამაშებამ უკვე სტარტიც აიღო „ირაოს“ ხელოვნურსაფარიან მოედანზე, გამარჯვებულები კი ივნისში გამოვლინდებიან. ისინი გერმანიაში, ესპანეთში ან იტალიაში წავლენ საერთაშორისო ტურნირზე.

ბოლო ხანებში იყო ლაპარაკი „სკოლბურთის“ პროგრამაში სხვა სახეობების ჩართვაზე, რაც საჯარო თუ კერძო სკოლებში სპორტის კიდევ უფრო განვითარება-პოპულარიზაციას შეუწყობდა ხელს, დაეხმარებოდა მოზარდებს გაჯანსაღებაში და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში. ინიციატივა საპარლამენტო დონეზეც განიხილებოდა, მაგრამ პროექტი საბოლოოდ მაინც ვერ ამოქმედდა. შესაძლოა, მომავალში ეს თემა ისევ გააქტიურდეს, მაგრამ ამ ეტაპზე შეჩერებულია. როგორც ამბობენ, განათლებისა და სპორტის სამინისტროები გარკვეულ დეტალებზე ვერ შეთანხმდნენ. თუმცა, რაც უნდა იყოს მიზეზი, ფაქტია – ამ ეტაპზე „სკოლბურთი“ კვლავაც ფეხბურთის ამარა დარჩა.

სტუდენტური ბილიარდი

საბილიარდო „აკურაში“ გაიმართა სტუდენტური ჩემპიონატი ბილიარდში, რომელმაც სტუდენტთა დიდი ინტერესი გამოიწვია – 18 უმაღლესი სასწავლებლის 60-მდე სტუდენტი მონაწილეობდა. სამდღიანი დაძაბული ბრძოლების შემდეგ ვაჟთა შეჯიბრების ფინალში სტუ-ს წარმომადგენელი **გივი ძებნიაური** და კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტი **ვაჟა გერლიანი** გავიდნენ. საბოლოოდ ჩემპიონობა ძებნიაურმა მოიპოვა, ბრინჯაო კი სტუ-ელმა **ლევან მამალაძემ** ირგუნა.

გოგოების ტურნირში საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტმა **ეკა თორაძემ** გაიმარჯვა. აქ ვერცხლი **თამთა გოგიას** (ილიას უნივერსიტეტი) ერგო, ბრინჯაო – **სოფო ნაცვლიშვილს** (სამედიცინო უნივერსიტეტი). გამარჯვებულებს მედლები, დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

საუნივერსიტეტო ფეხბურთის ლიგა საქმეს შეუდგა

ამ დღეებში დაფუძნდა ფეხბურთის საუნივერსიტეტო ლიგა, რომლის პრეზიდენტადაც პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალური მდივანი **პაატა ბურჯალიანი** აირჩიეს. ასეთი ლიგის დაარსების იდეა ჯერ კიდევ 2008 წელს გაჩნდა, მაგრამ წამოწყება აგვისტოს ომმა და რუსეთის აგრესიამ შეიწირა. საბედნიეროდ, იდეა არ გამქრალა და ახლა პრაქტიკულად ამოქმედდა კიდეც.

ლიგა საქმესაც შეუდგა – ორგანიზება გაუკეთა სტუდენტურ პირველობას ფეხბურთში, შეადგინა გათამაშების კალენდარი, ჩაატარა წილისყრა და უკვე რამდენიმე შეხვედრაც გაიმართა. პირველობაში 10 უნივერსიტეტის გუნდი მონაწილეობს, ამათგან 9 დედაქალაქურია, რომლებსაც გორის უნივერსიტეტის გუნდიც დაემატა. ჯერჯერობით, თამაშები მინი-მოედნებზე ტარდება, თუმცა მომავალში დიდ მოედნებზე გადატანაა განზრახული.

ამასობაში ლიგამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა – მოიძია საკმაოდ ძლიერი სპონსორები. მათ შორისაა სპორტული არხი GMG, სადაც ყოველ კვირას ლიგის გათამაშების მიმოხილვა გაიმართება. საინტერესოა, რომ ამ მიმოხილვას ისევ სტუდენტები – ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები მოამზადებენ, რაც მათი პროფესიული ზრდისთვის მშვენიერი შანსია. სულ მალე, ლიგის ვებგვერდიც ამოქმედდება, სადაც მსურველებს მატჩების მიმდინარეობაზე თვალყურის დევნება პირდაპირ რეჟიმშიც შეეძლებათ.

ევროპის ქალთა ჩემპიონატს ჭადრაკში საქართველო უმასპინძლებს

საფრანგეთის ქალაქ ექს ლე ბენში დასრულებულ მოჭადრაკე ვაჟთა ევროპის მე-12 ჩემპიონატის პარალელურად, ევროპის საჭადრაკო კავშირის კონგრესი გაიმართა, რომლის მსვლელობაში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი **გია გიორგაძე** მონაწილეობდა.

აღნიშნულ კონგრესზე ოფიციალურად გაფორმდა კონტრაქტი ევროპის საჭადრაკო კავშირსა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას შორის, ევროპის ქალთა ინდივიდუალური ჩემპიონატისა და ასევე ქალთა შორის სწრაფ ჭადრაკში ევროპის ჩემპიონატის ჩატარების შესახებ. ინდივიდუალურ ჩემპიონატს, 6-18 მაისს, თბილისი („შერატონ მეტეხი პალასი“) უმასპინძლებს, ხოლო სწრაფ ჭადრაკში, 19-22 მაისს – ქუთაისი.

ვინაიდან წელს ორი ქართველი ლეგენდარული მოჭადრაკის, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონების – **ნონა გაფრინდაშვილისა** და **მაია ჩიბურდანიძის** იუბილეებია, აღნიშნული ჩემპიონატები საქართველოში მათ საპატივცემულოდ ტარდება.

რუბრილას უძღვება ***ირაკლი თავაძე***

„ახალი განათლების“ წიგნის თარო

შემდეგი ტომის ხელმოწერის თანხა უნდა ჩარიცხოთ 30 აპრილამდე

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 95 80 23; 890 95 80 23; 877 13 22 83.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კLBRTGE22,
ა/ა GE93LB0113314052305000

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს „ბაზისბანკი“, ბ/კ CBASGE22,
ა/ა GE46BS0000000030236563,

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბ/კ BAGAGE22,
ა/ა 123631000

შეიძინეთ ახალი ხელმოწერები

„რა არის რა“
ერთი ტომი – 11 ლარი

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“
ერთი ტომი – 12 ლარი

ახალი განათლება

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

რედაქციის რეკვიზიტებია: საქართველოს ბანკი ბ/კ BAGAGE22, ს/კ 202058735, ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.